

# ბეჭდის ქართული

ქართული  
ბეჭდის ქართული

2633  
950

ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული

## „LE DESTIN DE LA GÉORGIE“

Recueil Historique, Scientifique et Littéraire Géorgien.

Rédacteur en chef : K. SALIA. 8, rue Berlioz, Paris (16<sup>e</sup>). Tél.: Passy 75-35.

№ 7

მ ა ი ს ი — 1950 — M A I

№ 7

შესრულდა 32 წელი დღითგან საქართველოს დამოუკიდებლობის  
აღდგენისა.

ღიღება 26 მაისს! უკვდავება მისთვის წამებულთ! მარადისობა ქართველ ეკს!



h  
all  
mar  
/R  
/I

საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამ მისი გარდაცვალებიდან  
ასი წლის შესრულების გამო

Dernière Reine de Géorgie MARIAM, à l'occasion du centième anniversaire de sa mort.

უცხოეთის ქართველობის აღმი

ემიგრაციის ჩვეულებრივი ბედი გადაჯვარება და გაქრობაა რაოდენიმე შთამომავლობის შემდეგ. ძვირად გვეუღებოდა ისეთი ემიგრაცია, რომელსაც დიდი დროის განმავლობაში შეუნახავს ეროვნება, ენა, ან სარწმუნოება.

ხოლო ერი მისგან დაშორებულ ემიგრანტთა ცხოვრებას შემდეგ იმოდენად ანიჭებს მნიშვნელობას, რაოდენადაც მისი მოქმედება უცხოეთში სასარგებლო ყოფილა ქვეყნისათვის ან პოლიტიკურად, ან კულტურულად, ან რომელიმე სხვა მხრით.

ჩვენი დღევანდელი ქართული ემიგრაცია პირველი არ არის. უძველესი დროიდან სხვა და სხვა მიზეზთა გამო და სხვა და სხვა დროს ქართველები იხიზნებოდნენ უცხოეთში, იქ მოქმედებდნენ, და ბოლოს იქაც ისპობოდა მათი სახსენებელი. მაგრამ ერთი რამ ყოველთვის იყო დიდი ღირსება ქართველი ემიგრაციისა: გარდაწვეწილთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც არა თუ არ სწყდებოდა სამშობლოს გულით, სულით, გონებით, არამედ თვისი მოქმედებით, დაუღალავი ღვაწლით, ათასი ჭირის დათმობით საქართველოს შველოდა პოლიტიკურად, ან მას უქმნიდა ან უძღვნიდა ისეთ კულტურულ ღირებულებათ, რომელთა შექმნა ცუდ პირობათა გამო თვით საქართველოშიც ძნელი იყო და რომელთაც დღესაც აფასებს მადლიერი სამშობლო. ამ ძველ ემიგრანტთა ღვაწლის ისტორია და მათ მიერ შექმნილ კულტურულ ღირებულებათა ჩამოთვლა აქ საჭირო არ არის,—ეს ყველა ქართველმა იცის, ვისთვისაც ჩვენი ქვეყნის წარსული უცნობი არ არის.

თუ რა გააკეთა ჩვენმა ემიგრაციამ და როგორ

იმოქმედა ქვეყნისათვის 1921 წლითგან დღემდე, ამასაც შემდეგ დავიფასებთ საქართველო. მაგრამ რამ მან საყვედური მეტი არ გვითხრას, ვიდრე მაღლობა, საჭიროა უკანასკნელი ძალები შევიკრიბოთ და დავუტოვოთ მას ჩვენი გაქრობის შემდეგ დამამტკიცებელი რამ იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება უცხოეთში ცუდი არ ყოფილა და ღირსნი ვართ იმისა, რომ სამშობლომ საუკუნოდ მისგან მიფარულნი კეთილად გვახსენოს.

უმთავრესად ყურადღაღებია უცხოეთის ქართველებისათვის კულტურული ღვაწლი ჩვენი ემიგრაციისა, რომელიც მეტი უნდა ყოფილიყო ვიდრე არის. ხოლო კიდე შეიძლება მისი გაზრდა, გაძლიერება, რათგანაც ჯერ კიდე მოიპოვებთან ჩვენ შორის კულტურულ ღირებულებათა შემქმნელნიც და ისეთნიც, ვისაც შეუძლია ამ ღირებულებათა საქვეყნოდ გამოტანა და ჩვენება საქართველოსათვისაც.

ამ მიზნით არის დაარსებული ჩვენი „საქართველოს კულტურის შესწავლის საზოგადოება“, და ჩვენ მივმართავთ ყველა შეგნებულ ქართველ ემიგრანტს, რომელიც ჩვენ ცხოვრებას უცხოეთში ჩვენი თვალთ ხედავს, დაეხმაროს ამ საზოგადოებას მის მოქმედ წევრად გახდომითაც და ყოველი საშუალებითაც,—ნივთიერად და გონებრივად,—რომ შეერთებული ნივთიერი და გონებრივი ძალებით შევქმნათ თვალ-საჩინო რამ, ჩვენი ცხოვრებისათვის აქ, უცხოეთში, აზრის მიმნიჭებელი და იქ, საქართველოშიც დასაფასებელი.

საქართველოს კულტურის შესწავლის საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ წერეთელი

მარიამ დედოფლის გარდაცვალებიდან ასი წლის თავი

30 მარტს, 1850 წ., მოსკოვში გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი დედოფალი. მწარე იყო მღვდელ უკანასკნელ ბაგრატიონთა, მაგრამ ყველაზედ მძიმე ხვედრი მათში მარიამი დედოფალს ერგო.

ასული თავად გიორგი ციციშვილისა, მარიამი იდაიბადა 1768 წელს. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა, 14 წლისა, მიათხოვეს გიორგი XII-ეს მასინ ტახტის მემკვიდრეს. ჯვარის წერა მოხდა გიორგის პირველი ცოლის ქეთევანის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს, ამიტომ მას არ და-

სწრებიან არც მეფე და დედოფალი, არც სამეფოს სახლის წევრნი. ამ მუუფერებელ ამბავს, რასაკვირველია, თავისი მიზეზი ჰქონდა, თუ რისთვის აჩქარდა გიორგი, მაგრამ მარიამი ამაში მხოლოდ უდანაშაულო მსხვერპლი იყო თავისი ბედისა. მეფე ცრეკლემ და დარეჯანმა მესამე დღეს ინახულეს „მწვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალე“ (რძალი და დიდი საჩუქრებიც მიართვეს, მაგრამ სასახლეში კიდევ გლოვა იყო და მარიამს მათი ტარება არ შეეძლო. „არა გამოჩენილი ქორწილი მეფის-ძისა მოითხოვდა

რისთა არ გამოჩენილიცა ყოფილიყო მიღება სასახლესა შინა ახლისა რძლისა“ მოგვეთხრობს პლატონ იოსელიანი<sup>1)</sup>, ამისათვის კათალიკოსმა, კარის-კაცთა და თავდა-აზნაურობამ ცალცალკე მიულოცეს. ათანასი თბილელმა მიართვა დაუჯდომელი დაბეჭდილი ქაიხოსრო მეფის დროს 1709 წ. და ისაკ კანდელაკმა სიონისა, მისგან დაწერილი ხუცურად დაუჯდომელი და პარაკლისი ღვთისა დედისა. ეს იმვითაი წიგნები დედოფალს 1835 წ. მოსკოვში უჩვენებია პლ. იოსელიანისათვის.

მარიამმა სასახლეში შესვლისთანავე იგრძნო, რომ „ბედი ისე არ უხვდებოდა როგორც მის ნორჩ წლებს და მეშვიდრის დანიშნულს ეკადრებოდა“. ადვილი არ იყო აგრეთვე უღრთოდ გარდაცვილ, ყველასაგან საყვარელ ქეთევანის შეცვლა. არც მის დედოფლობას ჩაუვლია უმტკივნეულოდ, და არც ის 21½ წ. იყო წყნარი მისთვის, როდესაც დედოფლის გვირგვინს ატარებდა, თუ გავისხენებთ ერეკლეს მეუღლის, დარეჯანის ბრძოლას დედოფლის უფლებების შენარჩუნებისათვის, რომელიც მას ანტირუსული მიმართულების გასაძლიერებლად სჭირდებოდა. მარიამი ამ ბრძოლაში მონაწილეობას არ ღებულობდა და მოკრძალებით განზე იდგა.

როგორც მეუღლე, იგი სამხატვლო იყო. მას გატაცებით უყვარდა თვისი ოჯახი, ბატონიშვილები და მეფე. იყო უაღრესად ღვთის მშობლისად აღამიანი. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ „როცა მეფეს წყალმანკი განუძლიერდა ორი კვირისა წინად გარდაცვალებისა, დედოფალი მარიამ მხლებლებითა თვისითა ფერხშიშველი ვიდოდა ანჩისხატისა ეკლესიისა, და წინაშე ხელთუქმნელისა ხატისა დანაოქვითა, ცხარეთა ცრემლთა დინებითა, წვრილთა შვილთა ილიასი, ირაკლისა, ოქროპირისა და თამარისა მუნ დასწრებითა ევედრებოდა ღმერთსა განაგრძოს დღე მეფისა... გრგვინავდა ხმა გოდებისა და ტირილისა გარემო დედოფლისა მწარედ მტირალისაო“.

ქმრის ავადმყოფობამ, სამწიგნობლოს მდგომარეობამ და წვრილშვილიანობამ მწუხარე და სევდიან არსებათ აქციეს მშვენიერი მარიამი.

ჩვენ აქ მხოლოდ გაკვირით აღვნიშნეთ მთავარი მომენტები მარიამ დედოფლის ცხოვრებისა მის გაღასახლებამდის, რადგან ამის შესახებ უკ-

ვე იყო მოთხრობილი ჩვენი ჟურნალის 1 და 3 ნომერში, წერილში: „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“.

28 დეკემბერს, 1800 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი, ხოლო 1801 წ. 12 სექტემბერს რუსეთმა საქართველოს ანექსია უყთ.

იმპ. ალექსანდრემ ტახტის მემკვიდრეს დავითს ალ. ნეველის ორდენი გამოუგზავნა. დავითმა რუსული მუნდირი გაიხადა და ორდენთან ერთად იმპერატორს უკან დაუბრუნა. მოტყუებულმა ქართველმა ერმა რუსეთის ღალატს უბასუბა მრავალი აჯანყებებით, რომელთაც ბატონიშვილები ხელმძღვანელობდნენ. „არა ვართ ჩვენ გოჭთაჯნი მხოლოდ გლახაკბერივისა პურის ჭამისანი, არამედ ყოველთვის სისხლე დათხევით მცდედნი ბაგრატიონთა ოჯახის აღდგენისანი“, სწერდა ყველაზედ ახალგაზრდა ბატონიშვილი თეიმურაზ რუსეთის მთავრობას. ბაგრატიონთა ოჯახის აღდგენა, დამოუკიდებლობის აღდგენის ნიშნავდა, „საკმაო სადმე ბაგრატიონი გამოჩნდეს, რომ ქართველი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდესო“, სწერდნენ თვით რუსებიც თავის იმპერატორებს.

მარიამ დედოფალი ტფილისში დარჩა. იქნებ რუსეთმა არ სცნო საჭიროდ სუსტი ქალის მცირე წლოვანი ბავშვებით სამწიგნობლოდან გაძევება! ხოლო მარიამი არ ენდობოდა მტერს; მან იცოდა: ამ წყალობას მას აძრე თუ გვიან მოუსპობდნენ და ცდილობდა რუსებისაგან თავი დავეღწია. ამისათვის განიზრახა ტფილისიდან გაქცევა და სამხადის შეუდგა. როტტიერის<sup>2)</sup> ცნობით, რომელმაც კავკასიაში დაჰყო 1811 - 1818 წლები და იყო რუსის სამსახურში მეთოვე დივიზიის შტაბის უფროსად, გენერალი ციციანოვი ახლო თვალს ადევნებდა დედოფლის ყოფაქცევას და ყოველივე მის განზრახვას ტყობილობდა. მან თავისკენ მიიბირა ერთი ქართველი აზნაური, დედოფლის ყველაზედ საიმედო კარისკაცი.

მარიამის თხოვნით მთიელები გულ-მხურვალედ შეუდგენ გაქცევის მზადებას; მათ სურდათ დედოფალი და მისი შვილები მთებში თავიანთ ცოლ-შვილთან დაემალათ. მაგრამ, საუბედუ-

2) Notice biographique sur Marie, dernière Reine de Géorgie, par le colonel Rottiers, Journal Asiatique 1827 juin et Itinéraire de Tiflis à Constantinople par même auteur, Bruxelles, 1829.

1) „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“ (სინამდვილეში გიორგი მეთორმეტე).

როდ, ყოველივე ეს კეთდებოდა მოღალატე კარის კაცის საშუალებით.

ფშავს, გადილას, ფრიად გულად კაცს, დაკისრებულთა ჰქონდა ამ საქმის სისრულეში მოყვანა. რამოდენიმეჯერ ჩამოვიდა ტფილისში და ბოლოს ყველაფერი იმხად იყო მარიაშის მოტაცებისათვის. ეს რასაკვირველია, მაშინვე იცნობა მოღალატე კარისკაცმა ციციანოვს. მაგრამ ციციანოვს სურდა თვითონ დარწმუნებულიყო ამ ამბის სინამდვილეში და აგრეთვე უნდოდა გადილია ენახა. ბრძანა ფშავი მოეყვანათ მისთვის, ხოლო ვამცემი დივანს ქვეშ დამალა იმავე ოთახში. შევიდა თუ არა გადილა, გენერალს სალამი მისცა: „გამაჩუკობა ციციშვილო!“ როგორც როტტიერი ვადმოგვეცემს, გენერალმა ჰკითხა: „რად ჩამოსულხარ, გადილა, ქალაქში?“ „მარილის საყიდლად“, უპასუხა ფშაველმა.—ჰა! სიმართლეს ნუ მიმალავ, განა სხვა მიზეზი არ გქონია ქალაქში ჩამოსვლისათვის?“

— „არა, მხოლოდ მარილის საყიდლად ჩამოვსულვარ“.

— „ფშაველო! შენი სიცოცხლე დამოკიდებულია სიმარტოლეზე და თუ სიმართლეს დამიმალავ, იცოდე, რომ მე შემძლია ეხლავე თავი გაგადებინო“.—ფშაველს გული მოუვიდა და გაბრაზებულის ხმით შესძახა: მერე ვისი ხელით გამაგდებინებ თავს? განა თუ ეს სომეხი თარჯიმანი<sup>3)</sup> გაბედავს ამას? აქ აღარ მაქვს ჩემი ხანჯალი, რომელიც არასოდეს არ მშორდება?“

ციციანოვი დარწმუნდა, რომ ასეთი გულად კაცთან მუქარით ვერას გააწყობდა და გადასწყვიტა ისევ მოფერებით მოეგო მისი გული. წამოდგა, მიუახლოვდა ფშაველს, ხელი დაადგა მხარზე, თითქო ევერუბათ, და უთხრა: „მამაცო ფშაველო, ნუ წყრები, არაფერს ცუდს არ შეგამთხვევ, მხოლოდ სიმართლე მითხარი“.—ყოველივე მეცადინეობა ამისი დაარსა, გადილა ყველსაფერს უარყოფდა გენერალის წინაშე. მაშინ ციციანოვმა გამოიყვანა მოღალატე ქართველი, ეგონა, რომ მაშინვე გონებას დაუბნევდა ფშაველს ამ კაცის უცებ წამოყენებით, რომელსაც გადილა არაფერს არ უმალავდა დედოფლის წინაშე. მოღალატე მიუბრუნდა ფშაველს და უთხრა: „გადილა, ნუღარ ამბობ უარს, სჯობს გამოტყდე და აღიარო, რისთვის ხარ ჩამოსული

ქალაქში; აბა ჩემთან როგორ იტყვი უარს! განა არ ვახსოვს, რომ მეც ვიყავი დედოფალთან, როცა შენ მას მოახსენე, რომ ყოველიფერი მზად არის ქალაქიდან თავის დასახწვევად, და მთებში წასასვლელად კუკაში ცხენები გიცდიანო?“ გაოცებულმა ფშაველმა ზიზლით და ბრაზით უპასუხა: „სულ ტყუილია და სიცრუე“... მაგრამ მეტის პასუხის ნება აღარ მისცეს. ოთახში შემოიყვანეს ექვსი გრენადერი, რომელთაც იარაღი ახადეს ფშაველს, ცემა დაუწყეს თოფის კონდახით და ციხეში ჩააგდეს.

ციციანოვს მეტი დამტკიცება აღარ სჭირდებოდა მარამ დედოფლის განზრახვის შესახებ და ძეორე დღესვე, კვირას, 12 აპრილს 1803 წ., დილით ადრე, მას ეწვია გენერალი ლახარევი თარჯიმან სოროკინისა და ქვეითა ჯარის ორი რაზმის თანხლებით. ლახარევი უცებ შევირდა დედოფლის საწოლ ოთახში და თარჯიმანის პირით გამოუცხადა: „ადექით, უნდა წახვიდეთო!“ დედოფალმა სთხოვა გათენებამდე მოეცადათ, სანამ ბავშვები გაიღვიძებდნენ, გენერალმა კი მოცდა არ ინება, მიუახლოვდა ტახტს და დაინახა რომ მსუთაქის ქვემოდან დედოფალს ერთი ფეხი უჩანდა და უნდა ხელი წაეველო, რომ ძალად აეყენებინა. მაგრამ დედოფალი იმავე წამს წამოვარდა, ხელში ეჭირა ხანჯალი, რომელიც მუთაქის ქვეშ ჰქონდა დამალული და ჩასცა ლახარევის მარცხენა გვერდში ისეთი ძალით, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხრით გამოჩნდა; შემდეგ ისევე გამოაცალა სულ გასისხლიანებული ხანჯალი, მარტყა სახეში გენერალს და შესძახა: „ასეთის სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურებაც დართო“—ო. ლახარევი იქვე დაეცა. მის ერთ დაყვირებაზე თარჯიმანმა სოროკინმა იძრო ხმალი და რამდენჯერმე დაჰკრა დედოფალს მარცხენა ხელზე და ერთი ღრმა ჭრილობაც მხარზე დააჩნია. მთელი სასახლე გაივსო ჯარისკაცებით, რომელთაც თოფის კონდახების ცემით გამოჰკლიჯეს მარიაში მის დედას, სულ გასისხლიანებული გამოიყვანეს ოთახიდან და შვილებით ერთად ჩააგდეს იმ ეტლში, რომელიც მომზადებული იყო მის გასაგზავნად. ტფილისიდან რკდილო-კავკასიამდის დედოფალს დიდ-ძალი ჯარი მიჰყვებოდა. მთელ გზაზე ქართველები გამოდიოდნენ და კრემლის დენით ეტლს ეგებებოდნენ.

რუსებს სურდათ გავგოთ, რა საუბარს ვაუწყებდა დედოფალი თავის შვილებს ან ქართველებს გზაში და ამისათვის მიეტლეთ ქართულის მცო-

<sup>3)</sup> ენ. ციციანოვმა ქართული კარგად იცოდა, მაგრამ სამსახურის დროს არ ლაპარაკობდა. მუდამ თარჯიმანი იხლდა.

დნე ამოარჩიეს. ტფილისში დაბრუნებისას მეტლემ ჩვენება მისცა და სხვა ნალაპარაკებთა შორის სთქვა, რომ მეორე ვაჟმა გაბრაიელმა (6 წლისა) ჰკითხა დედას: „დედა, რად მოჰკალი შენ ის ოფიცერიო?“ და როცა დედოფალმა უბასუხა „თქვენის სიკეთისათვისო“ — ყმაწვილმა მაშინვე მიუგო: „მაშ, დედა, თქვი რომ მე მოგვალე ის კაცი და შენ აღარას გავნებენო“!

როტტიერის მიერ აღწერილ სურათს ლაზარევის მკვლევლობისა საეცხებით ეთანხმება რუსული ოფიციალური ცნობაც, რომელიც მოყვანილია აქტებში<sup>4</sup>). მოხსენების შესავალში სწერია, რომ მარიამ დედოფალი ადრე უნდა გაგვეგზავნა რუსეთში, ჩვენ კი მის მუქარას ყურადღება არ მივაქციეთ და ამის გამო გენ. ლაზარევი დავკარგეთო. ხოლო პლატონ იოსელიანის ცნობით<sup>5</sup>) „მუნ - მყოფმან, თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი, დასცა ლაზარევს მუცელში, ლაზარევი წაიქცა, და თვით ხიმშიაშვილი მეორეს ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალ-ციხეს“-ო. არსებობს კიდევ სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით ხიმშიაშვილი განგებ გაიქცა, რომ მისთვის დაებრალებიათ რუსის გენერლის მოკვლაო. ყოველ შემთხვევაში, ყველა ცნობათა თანახმად თარჯიმანმა სოროკინმა<sup>6</sup>), რომელიც ლაზარევის მკვლელობას დაესწრო, ხმლით დასჭრა მარიამ დედოფალს, ხოლო იგი ამას არ ჩაიდენდა, რომ დედოფალი გენერლის მკვლელი არ ყოფილიყო.

ამნაირად საქართველოს უკანასკნელი დედოფალი ღირსეულად შეჰხვედა მტერს და არ შეურაცკყო თორმეტი საუკუნის განმავლობაში ამაყად ნატარები გვირგვინი ბავრატითა.

ზემოთ დასახელებული როტტიერი მოგვითხრობს, რომ ამ ტრადიკულმა ბოლომ ქართველი მეფეთა ისტორიისა იმ დროს „ისეთი დიდი ამბავი მოახდინა, ისეთი დიდი ხმაურობა ასტენა, რომ შეუძლებელია იგი დავიწყებულ იქნას, და ოდესმე იქნება ისტორიაშიც და პოეზიაშიც შეამკოს მომხიბლველის მჭერმეტყველებით და ჰარმონიულის ლექსებითა.

ხასიათი დედოფლისა, რომელსაც სწადლიან დაიცვას თავისი ღირსება უბედურობის დროს.

განაგრძობს როტტიერი, სიყვარული, რომელიც მას უღვივის გულში ქვეყნისადმი, მისი კეთილშობილური სიამაყე და აგრეთვე სიმტკიცე, რომელიც ვერ შეუღრკია ვერც იმ სისხლის დანახვამ, რომელიც მან დაღვარა, ვერც იმ ჭრილობამ, რომელიც მან მიიღო და ვერც სამხედრო ძალამ, რომელიც მას გაის შემიერთყა,—ყოველივე ეს ისეთი ძლიერი თვისებანი არიან, რომ თვითული მათგანი საკმაო არის ჩვენს გულში სიბრალულიც ვამოიწვიოს, თავზე ზარიც დაგვცეს და ფრხიად ტრადიკული სურათიც დაგვიხატოსო.“

რუსეთში მარიამ დედოფალი ბელგოროდის მონასტერში მოათავსეს, სადაც მან რვა წელიწადი დაჰყო. დანარჩენი ნაწილი თავის ცხოვრებისა პეტერბურგში და მოსკოვში გაატარა. მძიმედ იტანდა გადასახლებას, ვერ ურიგდებოდა თავის ბედს და დაკარგულ სამშობლოს და ტახტს დასტიროდა. მის სახეზე ღიმილი არავის არ უნახავს. მთელ დროს ლოცვაში და იშვიათ წიგნების კითხვაში ატარებდა, რომელიც მან საქართველოდან წამოიღო.

რუსეთში მყოფი ქართველების მუდმივი ცდა იყო გამოეთხოვათ მთავრობისათვის ნებართვა მარიამის სამშობლოში დაბრუნებისა, მაგრამ ამაოდ. დედოფლის ყოფნა საქართველოში რუსეთისათვის სახიფათო იყო. სიკვდილის წინ, ორი დღით ადრე, 28 მარტს, 1850 წ. მარიამმა თავისი თხოვნა კვლავ განიმეორა და დასძინა: თუ ცოცხალს არა, მიცვალებულს მაინც მაღირსეთ ჩემს ქვეყანაში დაბრუნებაო. საქართველოს მმართველის, ევრონკოვის შუამდგომლობით რუსეთის მთავრობამ შეასრულა დედოფლის ანდერძი და განკარგულება გასცა იგი „დიდი ცერემონიულით“ მცხეთაში წაესვენებათ<sup>7</sup>). თვით მოსკოვშიც გაიმართა სამკლოვიარო ზეიმი, რომელსაც ადგილობრივი გენერალ-გუბერნატორი განაგებდა<sup>8</sup>). აქტებში ვკითხულობთ, რომ 14 აპრილს, დილის 8 საათზე, ჩუდოვის მონასტერში მოსკოვის მიტროპოლიტმა ფილარეტმა გადაიხადა წირვა და პანაშვიდი მთელი სამღვდლოების დასწრებით, ჩის შემდეგ დაიდგრა პროცესია; წინ მიუძღოდა იმპერატორის ცერემონიის გამგე, მას მიჰყვებოდნენ კამერულნიერები, 8 მოხელე საგარეო საქმეთა სამინისტროსი, პაეები, მაიორები და ობერ-ოფიცერები

4) акты, т. III, гв. 4 - 5.  
 5) იხ. მისი „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“, გვ. 148.  
 6) პლ. იოსელიანის ცნობით—სომეხმა კაცმა ქაშვილმა (კაცკაჭიშვილი რუსულად სოროკინი).

7) იხ. акты, т. X, гв. 112.  
 8) იხ. акты, т. X, гв. 111 - 114.

ბალიშებით, რომელთაგანაც ესვენა სამკაულნი და ორდენები დედოფლისა, შემდეგ—უშაღლესი სამღვდელთა, ბატონიშვილები და ნათესავები. კუბო ესვენა ეტლზე ექვს შავად მორთული ცხენით, რომელთა მოსასხამზე გამოყვანილი იყო დედოფლის ღერბი. მთელს მანაილზე, ჩუღოვის მონასტრიდან—ვოზნესენამდე, ჯარი იდგა და სალამს აძლევდა.

ვოზნესენის მონასტრის წინ დედოფლის საბატოცემლოდ გაიმართა სროლა არტილერიისა და ფეხოსანი ჯარისა.

მცხეთაში დასაფლავების შესახებაც დაწერილებითი ბრძანება იყო გაცემული მთავრობის მიერ. პროცესია უნდა ყოფილიყო შემორკალული ძლიერი ჟანდაშებით, რომ ქართველებს არ ესარგებლათ და ეროვნული დემონსტრაცია არ მოეხდინათ. დანიშნულ ადგილას, მცხეთასთან ახლოს, სამგლოვიარო ეტლის წინ დააყენეს ჩირაღდნებით შავად შემოსილი 34 ცხენოსანი. გვერდით — თავდაზნაურობის წარმომადგენლები, დიპლომატიურ უწყებათა მობეგლენი, შემდეგ საგუბერნიო და სამაზრო მარშლები თაღებით დაფარული დროშებით. ამათ უკან ოფიცრებს მიჰქონდათ დედოფლის გვირგვინი, შემდეგ მიყვებოდნენ ეპისკოპოსები, სამღვდელოება, ნათესავნი და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი პატივისმცემელებნი.

მცხეთაში მიმავალი ყველა იგზები ხალხით იყო გაჭედილი. ქართველი ერი თავის დედოფალს უკანასკნელ სალამს აძლევდა.

მცხეთის წინ ცხედარს მიეგება საქართველოს ეგზარხი. კუბო ტახარში დაასვენეს. მთელი ღამე მას ქართველი თავდაზნაურობა დარაჯობდა. მეორე დღით გაიშალა ტახრის წინ ჯარი, არტილერია და თავდაზნაურობის ცხენოსანი რაზმი. წირვისა და პანაშვილის შემდეგ კუბო ჩაასვენეს მეფე გიორგის გვერდით გათხრილ საფლავში. არტილერიამ 36-ჯერ გასროლით სალაში მისცა.

ამნაირად, 47 წლის წამების შემდეგ, მარიამი დაუბრუნდა სამშობლოს, თავის ძვირფას მიწას, რომელმაც განსაკუთრებული სიყვარულით მიიღო იგი.

საუკუნო განსვენებას მიეცა ქართველ მეფეთა სავანეში, პატარა კახის ფევილით, ტანჯულ-

ლი დედოფალი, ბაგრატიონთა ტახტის უკანასკნელი წარმომადგენელი.

იქვე განისვენებს საქართველოს გვირგვინიც, მოლოდინში, რომ ოდესმე ახალი ბრწყინვალეობით კვლავ იელვარებს და ქართულ მატრიანეში ისევ ბევრი დიდებული ფურცელი ჩაიწერება.

ვინც ჩვენი ერის გრძელ ისტორიას თვალს გადაავლებს და მის წარსულს ბრძოლას დაუკვირდება, იგრძნობს თუ რა საკვირველი მძლეობის სული და სიცოცხლის დაუმრეტელი სურვილი ამოძრავებდა მას. ბევრჯერ დამარცხებული და არასდროს ქედმოხრილი, ქართველი ერი ზღაპრული პროტეუსისებრ ისტორიული ცვალების ყოველ ჟამს თავისებურის ენით უხმაურებოდა, თავისებურს წახნავს მოუქმარჯვებდა. „ადვილად მიიღებდა მწუხარებასა და ადვილად განიკურნებდა თავსა ვითარც ჭირ-ნახადი, იმბობს ვიორგი მეფის ისტორიკოსი; გავლილი ცეცხლსა, ვითარცა ბრძმდესა შინა, ოქრო იყო ნათლად და წმინდად საჩვენებელი, ქერისისავე დროსა 400 წლის წინათ ქრისტესა, შეეჩვია სპარსთა უფლებასა და ჰქელავდა მათთანა ერთად იგივეტესა და ატტიკისა მათთა და ბართა, ვითარცა სწერს ჰეროდოტი. ხმალი ქართველთა ღელავდა ომსა და ბრძოლასა პირის-პირ მაკედონელთა დროსა გმირისა მათისა მეფისა ალექსანდრესა. ჩინგიზი და თემურლენგი უქცევდნენ ქართველთა მეფობასა და ქართველნი კვლავად განახლდებოდნენ. ხმალი ქართველთა ტრიალებდა ავგანისტანისა მთებზედ, ვაჟკაცობა მათი და გმირობა განაკვირვებდა სპარსთა და ყანთა. ყანდარი და ხოროსანი, ერიდებოდა მათ, ვითარცა კავკასიისა გმირთა. ქართველთა ესრედ მრავალსაუკუნოებითა, გამოცდილთა და ცეცხლში ვითარცა პური გამოცხვართა, ვერ ერეოდა ვერცა შინგანი, ვერცა გარეგანი მწუხარება. გაღელვებული თავის-უფლებითა და განლაღებული მთებითა, ეცინოდა ბედსაცა და უბედობასაცა, ქართველთა გამოსწოვეს ტვინი სპარსთა, შეჰამეს იმბერიო რომისა, ვითარცა იტყვის პლინიოს, შეჰამეს ბიზანტი და თვით დაშთა შეუჭმელად მათთვის, რომელნიცა ჰგონებდნ მათსა შეჭმასა“.

კ. სალია

პარიზი, 30 მარტი 1950 წ.



მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ა ლ ი

დედა - უფალი, ხარ - დედოფალი,  
წმინდანის ხმალით ქრისტეს ჯვარიდან,  
ცრემლების ჯარით გამონათალი,  
საქმე მართალი, მეფეთ გვარიდან.

მძიმე უღელი ბრძოლით უხრელი,  
ნაზი მუხლებით ზიდე ბოლომდი,  
სანამ ბოროტი წმინდა საწოლთან,  
ხანჯლით გასწორდა დასუნდობელი.  
იყო რომელი? თუ არა იგი,  
მეფეთა რიგი ინიც მქიწირა.  
მოგესმა წიქვა, ზეციურ ხვედრის,  
ერეკლეს ხმები, სოფორც ვეფხვები,  
მიწის შეხებით, მთებს გადმოეშვა,  
თამარის ეშხმა გაკოცა შუბზე.

და მთვარის შუქზე ასპინძის მიწამ,  
კვლავ დაიფიცა ბაგრატიონზე.  
შემოგესია შავი - ლანდები,  
მრუდე ბრალდებით გასინჯავს კუთნებს,  
ნათლადები, სდვას ლაზარევი,  
და გზა - ნაჩვევი სისხლი სდის გულზე.

დედა - უფალი, ხარ - დედოფალი,  
წმინდანის ხმალით ქრისტეს ჯვარიდან,  
ცრემლების ჯარით გამონათალი,  
საქმე მართალი, მეფეთ გვარიდან.

გ. ყიფიანი

პარიზი, 30 მარტი 1950 წ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“

II\*)

„ნასწავლ კაცთაგან“ შემდეგ პირთა აზ-  
რია ყურადსაღები: ფელიქს ჰოლდაკი, გერ-  
მანელი მეცნიერი, ამბობს თავის წიგნში:  
“Zwei Grundsteine zu einer Grusinischen  
(sic!) Staats—und Rechtsgeschichte“, Leipzig,  
1907: „იმოდენი მონათესავე ხაზია პოეტისა  
(რუსთაველის) და ქრონისტის („ისტ. და აზმ.“  
ავტორის) თხზულებაში, რომ ძალა - უნებურად  
წიქვდება კაცს დაებადოს აზრი, თითქოს ორი  
სულიერად თანასწორი მნიშვნელობისა და და-  
მეგობრებული კაცი ყოფილიყო ურთი-ერთთან  
შეკავშირებული საერთო მიზნის მისახვედრად“  
(გვ. 84/5).—ეს მიზანი კი ჰოლდაკის აზრით იყო  
პოლიტიკა გაუმჯობესებისა და განსწავლისა.—  
— ნოე უორიდანია, ადარებებს რა „ვ. ტ.“-ისა და  
„ისტ. და აზმათა“ ბევრ ადგილს ურთი - ერთს  
ჰოლდაკის დასკვნის მსგავს დასკვნამდე მიდის:  
..ამ ორ ავტორთა შორის მე ვხედავ სულიერ: ნა-  
თესაობას, საერთო დაფასებას და გაგებას, ერთი  
მიზნის, ერთი საგნისაკენ სხვა და სხვა გზით მი-  
მავალთ. ეს ორი ძეგლი ერთი და იგივე ეპოქისა  
ეკუთვნის ერთ და იმავე თაობას, ენება ერთ და  
იმავე ამბავს, შეიცავს ერთ და იმავე საზოგადო-  
ებრივ საჩუქს“-ო („ვეფხის ტყაოსანი“, პარიზი,  
1930 წ., გვ. 4). „ეს გასაშტერებელი ერთ = იგი-  
ვეობა არა თუ აზრის, არამედ სტილის, გამოთ-

ქმისა, მოწმობს ორში ერთს: ან მათიანე რუსთ-  
ველის ხელმძღვანელობით და რედაქციით არის  
დაწერილი, ან და თვით ის ხელმძღვანელობდა  
უკვე დაწერილი მათიანეთი“ (იქვე, გვ. 50).—  
ი. აბულაძემ გამოაქვეყნა რუსულ ენაზედ „რუ-  
სთაველის კრებულში“ (თბილისი 1938 წ.) წე-  
რილი „რუსთველის ისტორიული თხზულების  
საკითხისათვის“. იგი ახსენებს ანტონ კათალი-  
კოზის ცნობას მისი გრამმატიკის პირველი რე-  
დაქციითგან (1753 წ., ნაწ. მესამე), რომ რუსთ-  
ველს დაუწერია „ცხოვრება თამარისი“. ანტონ  
კათალიკოზს აღებულნი აქვს თავის გრამმატიკაში  
ვითარცა შავალითი ხელოვნებითი და „ტკბი-  
ლი“ სტილისა შემდეგი ადგილი „ქ. ც.“-ითგან:  
„არც მოაკლდა შთაზიდვისა შინა საბლისასა  
(თამარის), არამედ“ და სხვ. ეს ნაწილი კი ეკუთ-  
ვნის თამარის მეორე ისტორიკოსს, მაშასადამე  
შოთას შეიძლება მეორე ისტორიის დაწეროს  
თამარისაო, ამბობს ილი. აბულაძე (გვ. 161-169).  
—მაგრამ „მეორე ისტორიის“ არსებობა გამო-  
ირკვა გვიან, ხოლო ანტონ კათალიკოზს ხელთ  
ჰქონია რასაკვირველია შექსებული „ქ. ც. - ბა“,  
რომელშიც „ისტორიანი და აზმანი“ შევსებუ-  
ლნი არიან მეორე ისტორიკოსის თხზულებით-  
გან. და ანტონ კათალიკოზს სწორედ ეს ერთი  
თხზულება, ე. ი. შექსებულნი „ისტორიანი და  
აზმანი“ მიიჩნია რუსთველისად და შემთხვევით  
თვისი შავალითი შევსებული ნაწილითგან ამო-

\*) იხ. დასაწყისი „ბედი ქართ.“, № 6.

ულია. ყოველ შემთხვევაში ანტონ კათალიკოზის ეს ცნობა შემატებს ჩვენ ჩრწმენას, რომ „ისტორიანი და აზმანი“ რუსთველის თხზულებაა.

აგრეთვე პავლე ინგოროყვას აქვს აღნიშნული თავის „რუსთველიანაში“ ერთი ადგილი „ისტორიათა და აზმათაგან“—დაარბაზობა ამირ-მირანისა—და ამბობს, ეს ადგილი ძლიერი გვაგონებს „ვეფხის ტყაოსნის“ ადგილებსო. მაგრამ მას „ისტორიანი და აზმანი“ სარგის თმოგველის დაწერილი ჰგონია, და ამბობს: მაშინ ჩოქრესაც სარგის თმოგველი და ჩახრუხაისძე დამოკიდებულინი არიან ბერძნული გზით მომდინარე წყაროებისაგან, შოთას განათლების წრე პირველ რიგში აღმოსავლეთის ეკუთენისო. შავალითად „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი ხმარობს ბერძნულ სახელებს ვარსკვლავთა, შოთა კი არაბულსო; შოთას კოსმოლოგიური და გეოგრაფიული წარმოდგენები ჰქონდა შეთვისებული არაბულ მეცნიერებისაგან; შოთა არ ახსენებს ჰომეროსს, ჩახრუხაისძე და „ისტ. და აზმ.“ ავტორი (ნ. ი. ინგოროყვას აზრით, სარგის თმოგველი) კი ახსენებენ; სამაგიეროდ შოთა ახსენებს აღმოსავლეთის ლიტერატურულ ძეგლებსო და სხვა (იხ. „რუსთველიანი“ I, გვ. 261-262; 265-269). მაგრამ ეს საბუთები ინგოროყვასი დასარწმუნებელი არ არის. შოთას „ვ. ტ.“-ის „ამბავი“ აღმოსავლეთის ხელმწიფეთა ამბავია და რსაკვირველია არაბი აეთანდილი არაბულ სახელებს ხმარობს ვარსკვლავთა და არა ბერძნულს. ხოლო ჩახრუხაისძეც ხომ ვარსკვლავის სახელს ზოპალსაც ხმარობს 1).

„ვეფხის ტყაოსნის“ მსგავსს პოემისში, პოემის ამბის მიხედვით, რსაკვირველია, კოსმოლოგიური და გეოგრაფიული წარმოდგენები აღმოსავლური<sup>2)</sup> უნდა იყოს; შოთას „ვეფხის ტყაოსნის“ თვისების თხზულებაში არ დასჭირდებოდა ჰომეროსი იხსენებია, ხოლო იგი პლატონს ახსენებს, ბერძენ ფილოსოფოსს, სადაც ეს საჭიროა და მოხდენილი. სამაგიეროდ „ისტ. და აზმ.“ ავტორი ისევე ასახელებს აღმოსავლეთის მწერ-

ლობის ძეგლებს, როგორც შოთა. ხოლო ბიბლიითგან ციტატები შოთასაც და „ისტ. და აზმ.“ ავტორსაც აქვს, და შოთას მეტი სახე და შედარება აღებული ბიბლიითგან, ვიდრე ინგოროყვას ჰგონია (იქვე, გვ. 264). და თუ „ი. და აზმ.“ ავტორს მეტი აქვს ბიბლიითგან ამოღებული ვიდრე შოთას, ამასმოითხოვდა თვისება მათ თხზულებათა. საერთოდ რომ ავიღოთ ეს ორი თხზულება, იქ ვპოველობთ ბერძნულ და აღმოსავლურ ელემენტებს და აგრეთვე საღმრთო წერილისა, ხოლო მეტ-ნაკლებობით, თანახმად თხზულებათა თვისებისა, მაგრამ ერთისა და იმავე განათლების მქონეთა მიერ შეტანილს, როგორც ისტორიულ, ისე ხელოვნებით ნაწარმოებში. და ეს „ორი კაცი“ ერთისა და იმავე განათლებისა იყო, ჩემი აზრით, ერთი—შოთა რუსთველი, ავტორი შეუდარებელი „ვეფხის ტყაოსნისა“ და ავტორი „ისტორიათა და აზმათა“, რომელიც ერთად-ერთი პოეტური თხზულებაა მთელ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, მაშასადამე აგრეთვე „შეუდარებელი“, უაღრესი რიტორული და პოეტური მაღალი კილოთი დაწერილი და უხვად შემცველი ბერძნული-არაბულ-სპარსულ და ბიბლიურ ელემენტთა მსგავსად „ვეფხის ტყაოსნისა“.

როგორც გამოკვეთულად უნდა ჩაითვალოს, „ვეფხის ტყაოსანი“ დაწერილია 1196 = 1207 წ. შუა (იხ. ინგოროყვა, იქვე გვ. 135-136), ხოლო „ისტორიათა და აზმათა“ პირველი ნაწილი, როგორც შემოთ უკვე ვთქვით, სწორედ ამავე 1196 წელს დაუმთავრებია ავტორს და განუგრძელების თვისი თხზულების წერა 1212/3 წლამდე, თამარ მეფის სიკვდილამდე. მაშასადამე, დრო ამ თხზულებათა დაწერისა არ ეწინააღმდეგება „ვ. ტ.“-ისა და „ისტ. და აზმ.“ ავტორის იგივეობას.

(გაგრძელება იქნება)

მის. წერეთელი

1) გერმანელი პოეტი ვოლფრამ ეშენბახელი ვარსკვლავთა არაბულ სახელებსაც ხმარობდა, მაგრამ ეს არ ამტკიცებს, რომ მისი განათლების წრე მე-XII-ე საუკ. სრულიად აღმოსავლური იყო.  
2) ბოლოს და ბოლოს ნამდვილად ბერძნული.

შეცდომის გასწორება:  
პროფ. მის. წერეთლის წერილში „ისტორიანი და აზმანი“, გვ. 14, სვ. 2, დაბეჭდილია **რომანი**, უნდა იყოს **რამინისა**; იქვე **გულო**, უნდა იყოს **გულ**.



ი მ ა მ უ ა მ ი ლ

მზე ეშვებო ნელინელ: თითქო დიდი თვალი, მწიფე შვინდის ფერი, მქუწამულადამუქული, მიწილებული. ყუდრო არეში გაისმის მხოლოდ ფრუტუნი ცხენთა. ბედაურები, უნაგარ-მოუხს-ნელნი, მწვანე ზავიან მოლზე საძოვრად მიუწვიანთ. ბორცვის ვანიერი ფერდობზე შამილის ნაიბებს ნაბღები გაუფენიათ—ისვენებენ მეომარნი, მხართეძოზე ნებიერად გართხმულნი. აქ არიან: სურახაი კოლელო, ახვერდი-მალომა ხუნაძე, ჯევად-ხან დარგოელი, ანზორი კარეხელი, ზაგნარ-დიბირი გივატლოელი, მიქაილ ხორაკელი. არიან ჩაჩანიც: შუაიბ, ტალციკ, ხატუ, ესაკი და მრავალნი სხვანი: რივი ავარიითვან, რივი ტავლინითვან თუ ყაბარდიითვან. აქვეა თავჩენილი ნაიბიც: ხაჯი მურად, დაღვრემილნი აყოლებენ თვალს ჩამავალ მზეს მეომარნი. არაა ზალისი მღერისათვის—მით უფრო როკვი-სათვის. ყველანი სდუმან. დუმილში ერთი ფიქრი იხლართება მხოლოდ: ფიქრი სახსარდამშლელო.

ჩვიდმეტი წელია, ძლევა მოსილი შამილი იგერებს მედგრად შემოსეულ ურდოებს რუსთა. მამაცური იცავენ თავისუფალნი შვილნი კავკასისა მშობელი მიწის ყოველ გოჯს. ხშირად კიდევაც ამარცხებენ რიცხვმრავალ მტერს. დარგოსთან ბრძოლაში სრული განადგურებაც აწვიეს მას. ხოლო რუსნი არ დრკებიან შაინც, არ ცხრებიან: რაზმი რაზმს ემატება, მოგორავენ ვითარ ზეგანი მოხეტიალნი—ეტანებიან შეუვალ მალღობებს, ხანდახან კიდევაც იპყრობენ რომელიმეს, და, შემდგომ: ეშვებიან სისხლით დამთვრალნი მშვიდობიან აულუმში, აოხრებენ და არბევენ მათ. ჩვიდმეტი წელია, მარჯვენ ხვდება კავკასი მტერს. ხოლო როდემდის? იქვი ღრღინის ნაიბებს როგორც მხველი მატლი შუაგულს ნამორისა: მათაურო. ნაღვლით განაბულნი თვალს ავლებენ მეომარნი ჩამავალ მზეს. ყველანი ფიქრობენ ერთსადამიანს. ფიქრი საზარელია: ზავი. ხოლო ვინ გაბედავს: ეს სიტყვა ჩაწვეთოს მეთაურს?

ორი დღის წინათ შამილს ეახლენ სწორედ ამის გამო ჯევად-ხან და ზაგნარ-დიბირი. მორიდებით წარსდგენ ჩაინდის წინაშე. შორიდან იწყეს სიტყვამოკლე საუბარი, რათა ამ გზით, მიკიბულმოკიბულით თანისთან, შეპარვიტ სი-

ტყვა ჩამოეგდოთ ზავზე. ხან ამას ეხებოდენ, ხან იმას. ხოლო მიადგებოდენ რა სახელდახელო გნდეს საუბარში—ესაა უნდა შევბულოყო სიტყვა „ზავი“—გნდე უეცრად უფსკრულის პირად იხსნებოდა და მყისვე იხვედენ უკან შვიშინებულნი. ხანდახან გახედავდა ირიბად ზაგნარ-დიბირ ჯევად-ხანს: ეგებ მან გაბედოს სათქმელიო—ჯევად-ხან გვერდულ ირიდებდა თვალში თვალ გაყრას. ორივენი შიშით იყვნენ აყვანილნი. მათ იცოდენ: მეთაური არ აყარდებოდა რისხვით ზავის გაგონებისას—ხოლო იმასაც გრძობდენ: არმხელილი რისხვა, შამილის განლინებულ უძრობაში შეკავებული, უარესი იქნებოდა. გამობრუნდენ: ზავი არ უხსენებიათ.

დადუმებულნი გაჰყურებენ ნაიბები ჩამავალ მზეს. დუმელში ერთი ფიქრია გაბანდული: ზავი. ანაზად თავს უხსნის დუმილს ერთი მათგანი: ახვერდი-მალომა. „არ იქნება მიზანშევედრი, რომ ხაჯი მურად ეახლოს შამილს მოსალაპარაკებლადო“. ერთი მცაცრი მოხედვა სახელგანთქმული მხედარისა განიერ დაყენებული თვალით—მოხედვა უსიტყვო პასუხია: ვანა არ იციან მეგობრებმა, რომ შამილსა და შამილის შუა უნდობლობის იჭვია გაქროლილი? უკუადავს არჩევანი, ახლა შუანეთს ასახელებს მეორე—ეს კოლელია სურახაი. ვინ არ იცნობს ამ ქალს, ერთერთს ცოლს შამილისა! ტომით სომეხი, მაგრად ნაკეთიერი, იგი ხშირად ახლავს თან მეომარ ქმარს, თვითონაც მეომარი, ვაჟურად ტანგადაცმული. სწორედ ამის გამო, ფიქრობენ ვითნის, ეს ატეხილი ამორძალი, გამხედავი და ბედზე შიმღებები ყოველისა, იგი ყურსაც არ ათხოვებს რაიმე აზრს დახვეებისა. ბჭობა გრძელდება. ბოლოს დედა ახსენეს შამილისა. გულს მოეშვათ ყველას: არჩევანი იგულვეს შისწრებად. გადასწყვიტეს: ხვალვე წასულიყო მასთან სურახაი, ხატუსა და ესაკის თანხლებით.

გათენდა დღია. არჩეულნი გაემგზავრენ შამილის დედის სანახავად. მიუახლოვდენ სასახლეს. ჯერ გამოიკითხეს: მეთაური შინ იყო თუ არა. არ იყო. ამან გამხედაობა შეჰმატა მისულთ. წარსდგენ დედის წინაშე, გულზე ხელდაკრებით, თავგანით თავდახრილნი. მოახსენეს განსაზრახი ნაიბთა; მოხუცი ქალი, მოღუნებული ხოლო ჯერ კიდევ ძვალმავარი, შეიქნა მთელი ტა-

ნით. მისან, დედამ, თვითონაც კარგად იცოდა უიმედო მდგომარება კავკასის თემთა — ხოლო კარგადვე იცოდა უტენი ხასიათიც შეიღოსა. დიდ ხანს იდგა დარინდელი, მძიმე ფიქრებში გადასული. ნაიბები იდგენ დადუმებულნი, ლოდინით კიდევ უფრო აღელვებულნი. ბოლოს თანხმობა განაცხადა მოხუცმა: მოლაბარაკებოდა შეიღს. მიგზავნილები გამოეთხოვენ მადლობით. ათი წუთიც არ გასულა, ავიარდა მოხუცი უეცრად, ფავარდა ეზოში, იხმო მსახურნი, უბრძანა: დასწვოდენ წასულეებს—სურდა უკან წაელო მიცემული სიტყვა? გვიანლა იყო: ნაიბები უკვე გასცლოდნენ შორს მიდამოს. ამასობაში შამილიც გამოჩნდა: შემოიჭრა ეზოში ყარაბაღული ბედაურით, შეიღი მურიდის თანხლებით. დადევნების აზრი გაუქმდა.

ვადმოხტა ცხენიდან სარდალი მარდად. უცვა ღვინისფერი ჩოხა, საყელოზე და სამაჯურებზე ბეწვეულით შორთული. არც თუ მაღალი, ხოლო ნაკეთიერებით კვირი და ტანოვანებით მაგრად სხმული. წელზე ხანჯალი, ფეხებზე მესტები, წვივებზე ტყავის ლეკვერჩხები, თავზე თეთრი ჩალმა, მხრებზე დაშვებული. ნელი ბიჯით მიამურა სასახლეს. დედაც თან გაჰყვა შორიანლო, ათრთოლებული.

მას უყვარდა შეიღი რაინდი: იგი იყო მისი სისხლი და ხორცი. ხოლო შეიღში რაღაც უტუნაურსაც გზნებდა ხოლმე: თითქოს კაცი კი არა ნადირი ეშვას. ჯერ კიდევ უმედი, სიურჩეს იგნდა იგი დედის მუცელში. ხშირად აგონდებოდა ხოლმე დედას: თუ რა სიღვით ახლტა იგი ერთხელ მის საშოში. ტკივილიც იგრძნო ორსულმა, ბასრი, თუცაღა ერთი წუთით. შევიდნენ სასახლეში. მისხდნენ. შამილმა მოხედა დედას მოღუშულმა—დედა შეირხა. შერხევაში ის ტკივილი გაახსენდა, არა: იოზნო. ფეხმოკვეთილი გრძნობს ერთი წუთით ტკივილსაც მოკვეთილი ფეხისა—ამგვარი იყო დედის მოგონება იმ ტკივილისა. შამილი სდუმდა.

სახე უძრავი, თითქო უწვარი ხისაგან ნაკეთი, უკვე საკმაოდ დაღარული. თვალეში შავი გველის ფერის, გამხვრელი ხედვით—ისინიც უძრავნი: თითქო ხამხამი არ სჩვეოდეთ სრულიად. ბაგე თვინიერ ვაყვანილი და თანვე სასტიკ მოკუშული. შესაძლოა, ბაგეს ოდნავი ღიმილი მოეფრქვია—თვალეებს კი არაოდეს. მათი მხვრე-

ტი ციალი თვით ჯალათსაც შესკრთობდა. შამილი სდუმდა: პირგანებილი, აღმოვლებული. ქერა წვერი, ივეებ შეღებილი, აღვივლებდა თითქო მისს შინაგან ალს და თან: ამით ანელებდა მას. ხოლო უცნაური: ვალინგების ქვე მისი ღნიოში სახისა იმალებოდა მძიმე სევდა, არამიწიერი კავმანი.

„რა გნებას?“ მიმართა შეიღმა დედას. კითხვამ გამოხსნა მოხუცი აუტანელი დაძაბულობისაგან. ნელი, დათუთქული ხმით გადასცა შეიღს ნაიბთა გულნადები. შეჩერდა ათრთოლებული. შამილმა მოხედა დედას—დედა ატორტმანდა. ანუ ცეცილი აკიფთა შეიღის თვალეში. ერთი წუთით. დედა შიმშა აიყვანა. შეიღი აღარ იყო მისი შეიღი. იგი უცხო იყო, სხვა, სულ სხვა. „გინ იყვენ მოგზავნილნი?“ გაისმა კვლავ ხმა შამილისა: ეტყობოდა, ბოლმას ეკავებდა. „სურახსი, ხატუ, ესაკი“, მიუგო დედამ. „ხაჯი მურად?“ „არა“. ჩამოწვა დუმილი. „დამტოვე მარტო!“ დედა მოციოდა.

შამილი დაფიქრდა. ხაჯი მურადს თუ მოუვიდა აზრად ეს უხამსო რამე?! ბრუ მოეხვია თავალებულ მხედაარს?! სახელი მურადისა შორს იყო გავარდნილი. აქა-იქ ხმაც გაისმოდა: როგორც მემომარი იგი თვით შამილსაც ვაეტოლობა და ცხენოსნობაში ხომ ვერცა ვინ შეედარებოდა. ეგებ შამილის შენაცვლებაც აქვს ფიქრად როგორც იმამისა—ამას შიმნარევი ჩურჩულით აწვეთებდენ. ხმა შამილის ყურსაც წვდებოდა. ალამოს ეს თავგასული ნაიბი?! ხოლო რა ლაგამი გაუძლებს ხაჯი მურადს?! შამილი კვიატ ფიქრებში იბნეოდა. სხვებს რაღა დაემართათ, სხვებს: მკლავითა და ხრამლით ერთგულ ნაიბებს?! ისინიც წამოეგენ სასირცხვო გეგმას? დამძიმდა ფიქრი მემომარისა. ეგებ მართლაც აღარ შესწევთ ძალა თემთ, აღარ ყოფნით ჟინი: ნაცადი სიმარჯით გაუმკლავდენ გარსმოხვეულ მტერს?! გაცუღდა ბუნება სარდლისა. გაიფიქრა: იხლავ მოხმომ უმაღლესი საბჭო—ხოლო უკუაუღო ფიქრი წამსავე. იხმო მსახურნი. უბრძანა შეეკაზმათ აღისფერი ბედაური. მოუყვანეს. მოეგლო უნაგირს ვითარ განელებული ავაზა. დაუკავა მარჯვედ ცხენს სადავე და გაეჭნა. მარტო გაეშურა: ერთი მურიდიც არ უხანია თან.

მინავარდობდა მხედარი იველიდან ველზე. სი-

მწვიდე სულისა თანისთან აკლდებოდა; უსვენა-რობა ძარღვებში უვლიდა. „ზავი“—ეს ხომ და-ლი იქნება სირცხვილისა! არა და არა! უძლივე-ლნი ნაწიერნი უძლიველ ავართა, რომელთაც ერთხელ თვით შაჰ-ნადირიც უკუაქციეს ძარღვ-შეწინებელი—ეს ქედმაღალი და მრევეი ხალხი რუსეთის მეფეს დაემორჩილოს?! არაოდეს! სი-ტყვა ტეინში იწვოდა—ხოლო დატყვება არ ცხრე-ბოდა. მიადგელებდა მხედარი ბედაურს. უეცრად ერთი განცდა მოაგონდა. მაშინ ჯერ კიდევ ყმაწ-ვილი იყო. ღბრძოდა ჟაზი-მულლასთან ერთად შუაგულ გარსმობევეული მტრისა: ალყა-შემო-რტყმულ კოშკიდან შემოტევის იგერებდა. გა-მოელისა სასროლი. დანებდეს მტერს? არა და არა! გადმოხტა კოშკიდან, ეძგერა მტერს, გასარ-ღვია რკალი, ხიშტი მკერდში შერჩა შეტეხილი, გავარდა, ამოეფარა ძეძვიან ბუჩქნარს, ამოიძ-რო სისხლიანი რკინა, გადაადგო, მიიმალა, მი-იმბა, და ია ასე, ორი დღელამის განმავლობა-ში, ებრძოდა ტკივილს, ძაბავდა ძალას, სძლია ჭრილობა. აი რა მოაგონდა. და საკვირველი: ჭრილობა, უკვე დიდი ხნის მორჩენილი, ამ წამს თითქოს კვლავ გაეხსნა მორკინალს. შამილმა იგრძნო „ის“ ტკივილი. ესლა კი დაჭრილივით გაუარდა.

ერთს ფერდოზე ბავშვები თამაშობდენ. კლდის მკერდიდან მოჩქრილებდა ხალასი ნაკადი. ბიჭებს აქწმწვილებით მომცრო სატე-რები და ცდილობდენ: ისეთი მარდი მოქნევით განეცეცათთ მაჯის-სიმსხო კვირვი ჩქერალი, რომ რკინაზე ერთი ცვარიც არ შერჩენილიყო. თით-ქო გლუვი რტაო—ისე სხვაგდენ ნაკადს. შე-მდეგ გახედავდენ მზეზე გაწვდილ სატევარს: არ სჩნდა ცვარიც—სინალისე სიმარჯვეს ლესავ-და. შამილმა შეაყენა ცხენი, გადმოხტა. იქვე ქეებით მორკალულ აუზში ანკარა ტბორი იყო შეგუბებული. მიუშვა ცხენი დასალეცად. თვი-თონ კი მოპეშვა ცინცხალი ჩქერალი ორხელ და განიგრილა დასცხული პირი. ბავშვები შერჩე-დენ, ხმაც გაკმინდეს: ეუცხოვათ ფრიად ეს მო-ღუშული და ამორგილი მხედარი, თითქო მუხა ყოფილიყო ნამეხარი. რამოდენიმე წუთი დუმი-ლისა. შამილმა ჩაიფურუნა თითქო თავისთვის, ბავშურს კილოთი და თან მითმეები ღიმილით:

„გავანადგურებთ მტერს!“

„გავანადგურებთ და მერე როგორ!“ იხრია-ლეს ერთხმად პატარა მორკინალებმა. სიმხნე მიეცათ.

„შამილი თუ გაგვიგონია?“ შეეკითხა მხედარი ერთს მათგანს.

„შამილი? როგორ არ გაგვიგონია!“ იყიფლეს მალხაზებმა ახალისებით. „ის დაანარცხებს მტერს!“

„ასე ძალოვანია იგი?“ შამილის ბაგე ღიმი-ლით გაიხსნა.

„შამილი? ვინ სძლეეს მას? იგი უძლიველია —გაზი!“

„ჩემზე უფრო ძლიერი?“

„შენზე? შენცა გძლეეს იგი! მისი მომრევი არავინა!“

შამილს გული აუტოკდა. მარჯვენა თვალში ცრემლი იგრძნო მომდგარი, ცრემლი ნეტარე-ბისა. დაღვაროს იგი აქ? არა: ამ ჩვილ მორკი-ნალთ ცრემლს ვერ უჩვენებს, თუ ვინდ ასეთ-საც. მოახტა ბედაურს და გაექანა.

„შამილი შენცა გძლეეს“—ეს სიტყვა არ ემ-ვებოდა მის სმენას. თავის თავი გაორებულად ეჩვენებოდა. ეს მხედარი, ესლა ცხენს რომ მია-გველევებს, იგია თვითონ: შამილი. ამავე დროს იგი სხვაცაა. შამილს სძლეეს იგი „სხვაა?“ დეე, სძლიოს, ოღონდ მტერი სძლიოს! მხედარმა მოუ-შვა სადავე და მიუშვა ცხენი: უმხილა გავარდ-ნა. ბედაური გავარდა: ესლა იგრძნო, ვინ იყო მხედარი. თვრებოდა ცხენი კუთებარეკლი— თვრებოდა მხედარი ძალაყრილი. რომელ უფს-კრულს შეუშინდებოდა ცხენი? რა ჯებირი შეა-კავებდა მხედარს? მინაფარდობდა შამილი და გრძნობდა თან: ის „მეორე“, ის „სხვა“, ის მრე-ვი ყველასი—მის არსში იზრდებოდა, როგორც ენგადი ამონაპულ წყაროს ტანში. ერთი ლელი კედევ და: ამორეტილი ტანი აიფსო. შამილში თითქოს ის „მეორე“ იშვა, ის „სხვა“, ის მრევი ყველასი. აღარ იყო სიღრუე, აღარ იყო გაორე-შა. მრთელ იქმნა შამილი! გაჰქრა ის ტკივი-ლიც, სრულიად.

მზე უკვე ჩასვენებული იყო, როცა იმაში და-ბრუნდა. ეზოში მურიდები შეეგებენ. ჩამოართ-ვეს ოფლში გაწურული ცხენი. შამილი მიზგი-თისაკენ გაეშურა. მურიდები გაჰყვენ შორიან-ლო. შამილმა შეაღო კარი სალოცავისა. მური-დები შესდგენ, ცხენი იქვე მიახეს. შამილი შე-ვიდა სალოცავში. მოიხსნა ფეხსაცმელი. მოსას-ხში იატაკზე გაჰვინა. პირი ჰქნა აღმოსავლის მიმართ. დაემზო ჯვარედინ მოკეცილ მუხლებ-ზე. ყურები თითებიც დაიჭლო. მოხუტა თვა-



ლები. ლოცვად იდავარდა. შამილოს რწამდა ხრმალი და მას რწამდა ალლაპ—ეს ორი მხოლოდ. ხრმალი და ალლაპ მის არსში ერთიმეორეს ეცილებოდნენ—შეცილებებაში მტკიცდებოდა ისლამში. მლოცველი მიეცა შინაჯან სმენას: ნელინელ, თანდათან, მძრავრ დახშული ნაბვით. ელოდა ლოცვად-დავარდნილი იდუმალ ხმას: თუ რას ამცნევდა იგი ნაიბების. ვარდაწყვეტილების გამო. ელოდა, ელოდა.

სალამო ღამედ იქცა—იმამი სალოცავში იმყოფებოდა. გათენდა დილა—იმამი არ გამოსულა. დღე მიიწურა—იმამი არ სჩანდა. შიშმა მოიკცა ყველანი. ვაჟმურენ მიზგითისაკენ: დედა იმამისა, ცოლი მისნი, ვაჟები და ცირები მისნი, „ნუკერები“—მსახურნი. მურიდები. ჟხუცესნიც უმაღლესი საბჭოსი და მათ შორის: ჯვალაღ-ედ-დინ, მასწავლებელი და სიმამრი იმამისა. შამილი არ სჩანდა. შიში მოედო ახლებს, თემებს. გამოეშურენ გუნბისაკენ. დიდი და პატარა, ქალი და კაცი. შამილი არ სჩანდა. მოვარდენ სხვადასხვა მხრიდან. ნაიბები აქაფებულნი: ცხენებით. შამილი არ სჩანდა. რა დაემართა? შიში ურვად იქცა. ბჭობდენ, თათბირობდენ, რა ექნათ. ნაიბებმა არჩიეს წილისყურა, თუ ვის უნდა ხვედროდა: შეელო კარი სალოცავისა. შეუდგენ წილისყრას. ამ დროს კარიც შეიჭრა: გამოჩნდა იმამი. იგროსლა თაემოყრილ ხალხმა: „იმამ! იმამ! ლა ილლაპ ილი ალლაპ!“ იმამი შესდგა მაღალ საფეხურზე: გაფითრებული, ჩაფერფლილი. იდგა უძრავად. არას იტყოდა. ხალხი გაინაბა სუნთქვაშეწყრული. იმამი იდგა ხალხის წინ: როგორც მოსე, ამწვარ-უმწვარი ბურიდიდან მოვლენილი, ისრაელის მიმართ, ხელში „ათი მცნებით“. იმამს „ცნება“ ტვინში ჰქონდა ამოჭრილი. ხალხი გაისუღრა დუმელში. იმამი თვალში თვალს არ უყრიდა არავის: მზერა მისი შორეთში ინთქებოდა, ვითარცა ხილვა ზმანეულია. წუთი აუტანელი. როგორც იქნა გაესხნა მოვლენილს ათროლოებით ბავე. ხალხი სმენად იქცა და: მოესმათ მოგროვილთ საშინელნი სიტყვანი, თითქო ნაკვერჩხლებად დატეხილნი: „ასჯერ სახრე... მას... ვინც... პირველმა... გაუწყა... ზავის ჩამოგდების... ვანზრახვა... მამცნო პროფეტმა...“ იმამი, ესლა ენაბრგუ—აქაც თუ ემზავავსა მოსეს—დადუმდა. ხალხი ატორტმანდა რეტდასხმული, ზარდაცემული. თვლი თვალს ეყრდა ვამტრებით. ნაიბებმა დახარეს თავი. „ვინ იყო ის პირველი?“ გაისმა უცრად მყიფანა

ხმა ერთი ქალისა. ზარდაცემა ესლა ხუთვად იქცა.

მყისვე გაიხსნა პირველი რკალი მოგროვილთა. აღიშართა მტკიცედ დედა შამილისა.

„მე ვიყავი იგი!“ განაცხადა ნელი, მტკიცე ხმით.

ხალხის გროვა მოიკცა საზარელმა. „სახრე ასსელდერ!“ შესძახა შამილმა იქვე მდგომ მურიდს.

გროვა დაიკლავნა გველნაკებნივით. მურიდმა მოიჩანა სახრე.

„შეუდექ ასსელდერ!“ მიმართა მოხუცმა. მურიდს ხელი გეუშეშდა. ხალხი კვლავ ატორტმანდა. წუთი დამძებანი.

უცრად მოეშვა საფეხურს იმამი. მოიხია ჩოხა. იწყო ვამიშვლება მხარბეჭისა. გასძახა თან მაგარი ხმით:

„მე შეილი ვარ ამისა. იგი მოხუცია. 25 ჯერ მე სახრე—5 ჯერ დედას! შეუდექ ასსელდერ!“

მურიდს სუნთქვა აღარ ყოფნის, ხელი არ ემორჩილება.

ამ დროს წამოიჭრენ ნაიბები წინ, გამებებულნი.

„არ გვინდა ზავი!“ დაიყვირა ჯევალ-ხანმა. „ბრძოლა ბოლომდე!“ მისძახა ხაგნარ-დიბირმა.

ამათ სხვებიც მიჰყვენ. შამილის წინ აღიშართა მთელი ეუნდი ნაიბთა. ამიშვლებულნი ხრმალი აელვარდენ. „არ გვინდა ზავი! ბრძოლა ბოლომდე!“ ხალხს მოეშვა სიმძიმე. „მარჯი იმამს! ლა ილლაპ ილი ალლაპ!“ იმამი იდგა უძრავი. ფითრი სცილდებოდა, ღვივდებოდა, სახე ესხნებოდა. ხოლო არას იტყოდა. ხალხი ირეოდა აღტაცებით. ბნელი, ქვეფენილი ბუნისაგან, საცა უპიროვნო ელემენტები თესლელ თვლემენ, თრობის ღმერთი იშვოდა, ზღვარგადამლახველი: დიონისო. იშვოდა: ცალკეულ თვითეულში და ერთობილ ყველაში. შამილშიაც იშვოდა იგი—ხოლო რაინდი ზღვარზე თავს იკავებდა დამბული. სისხლი: ხან ერთს საფეთქელში აწვებოდა ხან მეორეში. ხალხი ირეოდა აღტყინებით. სიტყვა აღარ ყოფნიდათ—ეხებოდნენ ერთიმეორეს. არ იყო მხოლოდ სასუნთქი ავარდნის საბოლოო ვასაშლელად. ესლა ესეც გაჩნდა.

„საკრავები!“ გაისმა ხმა. მოიჩანეს უმაღლე, იწყეს ახმისება. წამოიშალენ ხალასნი რიტნი ჭავკასისა. თითქო ყოფის სუნთქვათ თვითონ,

გაისმა: „დიიორა-დიიორა-დიიორა-და-რა-რაა—მმ დაარა დი-რა-რაა—მმდაარა და-რა-დაა“. „როკვა!“ გადმოიწევა კუთებისასმული ნაიბი: ხიგნარ-ლიბირ. ჯიხტური ალერებით აღიშართა მკერდი. გაშალა მკლავები. დაუარა. მოსვლო რკალი. მთელი ტანით იქცა ცინხაჲ რიტად. „ასსა!“ „მმ დაარა დი-რა-რაა—მმ დაარა და-რა-რაა“. „ასსა!“ „დიიორა-დიიორა-დიიორა და-რა-რაა“. ეხლა მორე გამოხლტა: ახოვანი, მკერდმაღალი, მხრებ-კვრივი, ალექწილი. ეს იყო ვაჟი შამილი-სა: ყაზი-მაღომა. ხლომს ირმისა იყო. დაუარა. გავლებულ კამარას მორე შეეღო. „ასსა!“ მას მოჰყვა ჯევად-ხან. „როკვა!“ გამოიდის მეოთხე, გამოიდის მეხუთე, გამოიდის მეექვსე, გამოიდის მეშვიდე. „ასსა!“ ეხლა ჯგუფ-ჯგუფად გამოიდის. „როკვა!“ როკვენ ყველანი, მთელი კრებული როკავს. „დიიორა-დიიორა-დიიორა-დიიორა-და-რა-რაა—მმ დაარა დი-რა-რაა—მმ დაარა და-რა-რაა“. „ასსა!“ კავკასი როკავს, ალაღებული, ლხენით დამთვრალი.

ერთი არ როკავს მხოლოდ. არა: მთელი ტანი რიტმით არის აყვანილი შინაგან—ხოლო გარეგან გაქვეყნებულია. ეს იმაშია.. ერთი ტალღა რიტმისა კიდევ და: ტანი-ქვა გასკდება. შამილი ბეწვზეა. ანთებულნი თვალნი ალს აფრქვევენ. უეცრად ცხენს მოსვლო თვალი თავისას. თვალში ცხენის თვალი მოხვდა. შამილი შეიჩხა, გადაქანდა. დასძლია ცხენის თვალის ალმა კაცის თვალის ალს: დასძლია, გადაიზიდა? ბნელი ბუნა, საცა უპიროვნო ელემენტები თესლეულ თვლებზე—რომელ სხვა ცხოველშია უფრო ცეცხლოვანი?! დასძლია, გადაიზიდა?! როკვით აყვანილი აჩრთოვანი ტანი მოეშვა უეცრად: მოეშვა, მოსხლტა. შამილი გაექანა ცხენისაკენ, მოეწო უნაგირს, გავარდა. მყისვე მოახლტენ მეომარნი თავიანთ ბედაურებს. წინ: შამილი. უკან ნაიბები: ჯევად-ხან, სურახანი, ხაჯი-ალი, გაძივ, მაჰომედ-ეფენდი, ახვერდი-მაღომა, ან-ზორ, იმარალი-მაჰომედ, ხაგნარ-დიბირ, მიქაილ, ტალევიკ, შუაიბ, ხატუ, ესაკი. და ივაჟიკ შამილისა: ყაზი-მაღომა.

მინავარდობს იმამი—დაწინაურებული. მინავარდობენ თანამეომარნი — მიყოლებით. წინ ხრამი, ყველასათვის ცნობილი. შამილი არ უხვევს—მიყოლო ტანში შიშის ჟრუსალი ურბენტ. შამილი უახლოვდება ხრამს. ვინ შეაჩერებს? რა შეაკავებს? ახელებს ბედს, თუ ეზრდება ბედს? შამილი ხრამს მიადგა. დაუთქვა რაღაც

ბედს, ჩაუთქვა რაღაც ბედს? იცის მხოლოდ: ბელი მისია, ვინც გამბედავია. ეხლა იგი ცხენკაცია: კენტავრ. ერთი წუთი, ბედგადამწყვეტი—ბედზიარი მხედარი ხრამს თავს გადაეწო. მეომარნი ატორტმანდენ, ბედსურებით, რეტდასხბულნი. ხედავენ: ცხენკაცი მიანავარდებს ბედსურს, უეცრად. ახლა ესენიც მიენდენ ბედს: ყოყინით, სივილით გადაეწვენ ხრამის თავს. „ლს ილლაჰ ილ ალლაჰ! მარჯი იმამს!“ მოექცენ უვნებელ გაღმა. წინ: იმამ შამილ. უკან: მეომარნი. მინავარდობენ ახელებულნი. რომელ უფსკრულს შეუქმინდებან? რა ჯებირი შეაკავებს?

„იიარაალ არრალუ —  
ოდილოარ იდალო!“

**გრიგოლ რობაქიძე**

ქართული ტექსტი „შამილისა“ იბეჭდება პირველად. გერმანული ტექსტი გამოვიდა 1932 წელს, მოთავსებულია წიგნში „კაუკაზიშე ნოველენ“ (ინზელ ფერლაგ). ნოველა გადაცემული იყო ავტორის წარმოთქმით რადიოთი: ვენისა, ლაიპციგისა და კელნისა.

**რედაქცია**



**ავტორტრები**

სარკვემი ვნახე ჩემი თავი და ვსთქვი, ეს მე ვარ! ვაღრანდავი წარბებთა და წამწამებით; ქობულამშვილის ფერდაკარგულ აჩრდილსა ვგეგარ რომის ძებნაში დაღლილი და განაწამები.

გრეზათმებიანს უფერული მერგო თვალუბი რგვალ სახეს — ქორხელი ტუჩებს — ღიმი ლოყებს — ხალუები.

ზურჯმორკალული თეთრ კედელთან ლანდივით ვდგეგარ სარკვემი ვხედავ ნაცნობ სახეს და ველარ

ვითმენ; სტრიქონში სიტყვას კვლავ შევამე როგორც ხარს = ყევანს და პორტრეტს ვარქმევ ლექსიკონში მოკრებილი რომთმებს.

**გიორგი ლოლუა**

ქართული მწერლობის ანთოლოგიიდან: პ. იაშვილი და ს. ცირეკიძე

(1922 წ. ქუთაისი)

წერილი დედას

დავტოვე სოფელი,  
მყუდრო სასოფელი,  
ქვიტკირის მარნები  
და კატის კნუტები —

სიმინდის ყანა!

ჰა! კინტოს პროფილი,  
საეჭვო ტარნები,  
და დავიკუნტები  
ქალაქის ქუჩებში: მე — სალახანა.  
ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!  
მზის განიავება, კალო და კევრი  
და სოფლის სიწმინდე, მსართალი ბათმანი,  
როცა მე ქალაქში მარუხებ, მახლეებს,  
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.  
იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ!  
მინდა დღეს მივწერო დედას უსათუოდ,  
იმღეროს მამასთან ის ნანა ტკბილი  
როცა გაიხარა, რომ მე მიჭრებოდა პირველი  
კბილი;  
როცა მე ქურდები შეგობრად მრაცხავენ,  
სოფელში ვენახი გახდა მოსარწყავი.  
და ვაზის ფურცლებზე ისე გალურჯდება იქ  
მაბიაბანი,  
ვით თვალის უბე—როცა მე არ მხურავს ღამეში  
საბანი.

დედა! ინახულე  
შენ წმინდა ხახული!  
წადი ფეხშიშველი,  
ქალაქში დაკარგულ შეილისთვის ღამე გაათიე,  
ღმერთო! აპატიე —  
მე თუ ვერ მიშველი,  
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგძე სანთელი  
მისთვის, რომ ჩემს გულში  
დაყურდეს გრივალი და კორიანტელი.

პაოლო იაშვილი

მთვა რეული

ქალაქის ბალის კლექიანი ხეები ინახებიან  
მთვარის ნათელში. ხან და ხან ავითმყოფური  
თამაშით მთვარის შუქს ტოტით დაუფარავენ  
ვიყს, ნარვალში რომ კოლოფებს აგროვებს.  
ნახავს კოლოფს, გადამლის და მთვარეს შეე-

შვერს. საესევა სალახო სიხმართა დედოფლის და  
უხვად აბნევს ოქროს შუქს მტვერიან კოლოფ-  
ში. ვიყი იცინის ხალისით. ავსებულ კოლოფებს  
კეტავს, ფერად ქალღლებში ხვევს, უბეში ინა-  
ხავს.

ბევრი კოლოფის ბალის ნარვალში. ყველა აი-  
ლო გიჟმა, ყველა გაავსო მთვარემ, პირდაპირ  
დედოფალს რომ გავს ცისფერ ფარჩაში. უხვად  
აბნევს ოქროს შუქს კლექიან ხეებს და ბალის  
ბილიკებს; ტაძრის იუმბათიც მოაქრულია; სიკ-  
ვდილის წინ თავის სიმდიდრეს ანიავებს სიზ-  
მრის დედოფალი — მთვარე.

ჩქარობს ვიყი. კოლოფებს ავსებ, ფერად ქა-  
ლღლებში ხვევს.

შუა ქუჩაში ღვანდივით მიიპარება ვიყი, რო-  
მელსაც უბით მთვარის სიმდიდრე მიაქვს.

ღამეწვარ დუქანში ღამეს თვალი დაუხუჭავს.  
იქ ნაცარში დაჯდა ვიყი. ამოალაგა კოლოფები.  
კრძალვით გახსნა პირველი, — ცარიელია. მეორე  
გახსნა, — იმშიდაც მარტო ღამეა. აკანკალებუ-  
ლი ხელით შეეხა მესამეს, — მთვარის ნაჩუქარი  
ალარც იქაა.

ეტკინა ვიყს. ატირდა.

სანდრო ცირეკიძე

ჩ ე მ ი ლ ო ც ვ ა

თუ განსრულოდა ეს ცხოვრება  
შენგან ჩემთვის განგებული,  
გთხოვ, არ მოგვცდე უცხოეთში  
სიყრმით დღემდის დაკარგული.  
კვლავ მალისე მწირს სამშობლო  
საყვარელი, მშვენიერი,  
მისთვის მინდა ეს ცხოვრება  
იყოს მსხვერპლი ნებეირი.  
მუნ სიკვდილიც მორჩვენია,  
არ ვიქნები განამწარი,  
იქ საფლავიც ტკბილ მექნება,  
ნანას შეტყვის ნაზი ქარი.  
ზაფხულს შდელი რა შემოსავს,  
ზამთარს თოვლიც მოლად სპეტაკი,  
გაზაფხულზედ იით, ვარდით  
არ დაფრჩები მე ღატაკი.  
ხშირად მოვლენ მეგვარენი

ჩემ სამხარის შესამკობლად;  
 საესე გრძნობით მუხლს მოჰდრეკენ  
 საღვთო ლოცვის საგალობლად.  
 ქართულ ხმითა, სამ - ხმა ტკბილად,  
 „დიდებასა“ დამმღერებენ  
 და ეროვნულ აღდგენასაც  
 ჩემ ძეგლთ ნეშტთაც ახარებენ.  
 იქვე ბუღბუღოთ სევდით მღუმარით  
 აღეძრებათ სიხარული,  
 ტკბილი სტვენით დღე და ღამე  
 აღმობდებათ სიყვარული.  
 ვარდიც, იაც, ამო სუფრნელთ  
 გარს მოჰფენენ ჩემს სამხარეს!...  
 იქ სიკვილი მიჩრევენია  
 ამ ცხოვრებას უცხო მხარეს.  
 ღმერთო, ზენით გადმომხედე  
 ნუ გამითხრო აქ სამხარეს!  
 .....

შ. ვარდიძე

**ბანჯიკული მასპინძელი**

ღმერთო შეინდე ეს ქვეყანა, პირველად  
 დავიწერ, მძიმე ცოდვებში ჩაძირულა მთლად დედა-მიწა,  
 სახლი დამენგრა, ვთხოვთ მისმინოთ: შვილი  
 დამიწვეს, ვისი რა მმართვეს...! რას მერჩიან...! ვთხოვთ,  
 რომ დამიცვათ.  
 ყელზე შეხვევა საუკუნე გველის პერანგით.  
 და შესამს მიმზადებს უღვევარი ახალი მოდგმა.

გიორგი ყიფიანი

1946 წ. პარიზი

**თეიმურაზ პირველის და ზაქარია კათალიკოსის წერილები უკან  
მეკვისადმი**

**I**

მის შემდეგ, როცა ვერაგმა შაჰ = აბაზმა კახეთი ამოაგდო, თეიმურაზ მეფის ორი ვაჟი გამოასაჭურისა, მისი დედა, ქეთევან დედოფალი, აწამა, ქართველები მოხერხებული პროპაგანდით და მოღალატეეთა შეყენებით მარაბდის ველზე დაამარცხა 1624 წ. თეიმურაზ I-მა პირი იბრუნა დასავლეთისაკენ.

დასავლეთში ოდიდგანვე ბატონობდა რომის პაპი და მის ზეგავლენას განიცდიდა ყოველი მეფე თუ მთავარი კათოლიკე ქვეყნებისა. თეი-

დალადრულ დღეებს გადასცთება თეთრი მერხანი, ამდენი მსხვერპლი სასიცოცხლოდ თუ კი გამოდგა.  
 სათნო ბინა მაქვს საიდუმლო ცრემლით ნაშენი, ციურ ლოცვებით ჩამოქნილი ყოველი კუთხე, მწარე ტკივილით გამოზრდილი წვრილი ბავშვები, გადამიჩინე ღვთის მშობელი, ცრემლით მიკურთხე.  
 ჩემი მუქარა ამა ქვეყნად არვის სმენია, მოვარდნილ რისხვას დაეხვედრივარ მოსუცი ხმალით.  
 ჭლარა მიწა უღმობელი სისხლით სველია, სდგას ონავრების ქაჩიშხალით ტყე გადამხმარი. არავისათვის ცუდი საქმე არა მიქნია, საკუთარ ენით ვლაპარაკობ მითხარო რას მქრჩით,  
 თვით ბოროტები კეთილებად გარდამიქნია, მზეს კარის კაცად გაუგზავნე სიცოცხლის ელჩი. საჭირნახლოთ გაუამზადე მიწა ნახნავი, შვილთა მლოცველმა ხელით - ავიღე ჯვარი ვაზისა.

მყუდრო ქვეყანას ჩავაბარე მოსუცი ხმალი, მაგრამ შიმშილით მოსვენება არვინ მაღირსა. მუხანათურად წამიბილწეს გრძნობა ამდენი, სუფრა უმწიკვლო წამიქციეს სუფრა პურადი, ღვინოთ სვეს დაჭრილ სხეულიდან სისხლის ნადენი, მასპინძელს დამაქვს სასიკვდილოდ დანაგულამდი.

მურაშმაც ამ ვითარების შესატყვისად მოაწყო თავისი ელჩის სამგზავრო ივემა. ელჩად დანიშნული იყო ბერი ნიკოლა, ანუ ნიკიფორე ერბახი 1), გვარად ჩოლოყაშვილი, როგორც ირკვევა.

1) ერბახი სხვა და სხვა ქრონიკებში იხსენება როგორც ირბახ. ეს წარმოებული უნდა იყოს ირუბაქიძისაგან: ირუბაქ - ირუბახ - ირბახ. დასლოვებით მე-XIV საუკ. ორი ძმისაგან ირუბაქიძისაგან: ჩოლყა და მაყა, წარმოიშვენ გვაჩრები: ჩოლყაშვილი და მაყაშვილი. (რედ.).

ნიკიფორუს ევალებოდა ჯერითადად ხლებოდა რომის პაპს, რათა მისი დანხმარებით და საშუალებებით თეიმურაზს სამხედრო კავშირი შეეკრა ისპანიის შეფეხთან. ნიკიფორემ-კი სხვა გზა აირჩია: რომიდან იგი ნეპოლის გზით ისპანიას გადავიდა და იქიდან ისევ რომს დაბრუნდა.

რასაკვირველია პაპი ნიკიფორეს ვერ მიიღებდა ჯერ თუ დანაშაულებებით არ შეიტყობდა: ვინ იყო თეიმურაზი? რა ქვეყანა და რა ძალა უპყრა მას? ვინ იმყოფებოდა თვითონ ნიკიფორე და იყო ის მართლა ელჩი თეიმურაზ მეფისა? დიდი ფაშაობების შემდეგ პაპმა კრება მოახდინა 27 ივლისს 1628 წ. ყველა ამ საკითხების გადამსაწყვეტად<sup>2)</sup>. ჩემ მიერ ვატიკანის არქივებში შეშაობის დროს (1931=34 წ.) სადოქტორო თეზის შესადგენად<sup>3)</sup>, მოთულოდნელად წავაწყდი **სულ ახალ საბუთებს**, რაც მკაფიოდ ამუქებს ამ კრების შედეგს<sup>4)</sup>: კარდინალთა კრებამ სცნო თეიმურაზის ვინაობა, მაგრამ **სრულიად და სავსებით ვერ დარწმუნდა, რომ ნიკიფორე ნამდვილი ელჩი იყო თეიმურაზ მეფისა**. ამის შემდეგ პაპის ბრძანებით ყველამ დიდის პატივით მიიღო ჩვენი ნიკიფორე, მაგრამ **არა როგორც ელჩი**. გულუბრყვილო ერბახშმა, რატომ უნდა ვერა შეამჩნიოდა რა და ცულდაჯერებულ ელჩად წარსდგა სადაც-კი ცავლა მოსუხდა. ურბან მძე-VIII მაინც მიიღო იგი კერძო ავდიენციასში და ნიკიფორემ პაპს გადასცა თავისი შეფის წერილი, რომელიც აწ უნდა მკითხველს გავაცნოთ თეიმურაზის და ზაქარია კათალიკოსის ორ სხვა წერილთან ერთად.

II

**თეიმურაზ პირველის წერილი ურბან მე-VIII-სადმი**

თეიმურაზის ეს პირველი წერილი დაკარგულად ითვლებოდა აქამდის; ის აღმოჩნდა პროპაგანდა ფიდეს Propaganda (Fide) არქივ-

<sup>2)</sup> პროპაგანდის არქივი: Acta anni 1628, fol. 95; n. 24.

<sup>3)</sup> თეატინელთა სამოციქულო ღვაწლი საქართველოში, შეჩვიდმეტე საუკუნეში, რომს 1933 წ. (ხელნაწერი ლათინურად).

<sup>4)</sup> სამწუხაროდ ყველა ეს დოკუმენტები ომის დროს დამკარგა მთელს ჩემს ბიბლიოთეკასთან ერთად.

ში<sup>5)</sup>: **Lettere di diverse lingue, vol. 181, fol.: 160b, 161a, 162a, 163a.**

წერილი სავალალო პირობებში იმყოფება: დაწერილი ყოფილა უშველებელი სიდიდის ქალღღზე, დასაზღოვებით 60×60 cm. იგი ოთხად მოუკეციათ და ასე უთარეციათ აქეთ-იქით ისე, რომ წერილის გარენაკეციები სრულიად განადგურებულა და ტექსტი შუა გაფლეთილა. ამ რიგად დაზიანებული წერილი მერე შეუკეთებიათ, ცარიელი ადგილები ჩამოუჭრიათ, სხვა ხელნაწერთა შორის ჩაუკერებიათ, და ყველა ეს წიგნად აუკინდავთ. დღეს ასე ინახება ეს ჩინებული ეპისტოლე შენოდ დასახელებულ კრებულში.

გადარჩენილი წერილის სიდიდე ეხლა იმყოფება ასე 25×26 cm. ნაწერის დასაწყისი, სამეზის აღსარება, მოკცულია სამს ოქროსტრეილთანასწორ კამარაში, რომელნიც ერთი მეორეზე არიან მიბმულნი. საწერ მასალად ნახმარია შავი მელანი. ნაწერი შესრულებულია ლამაზი მხედრული ხელით. ასოები ზოგიც ერთიმეორეზეა შემსხდარი, ზოგი-კი ერთიმეორეს კუდად აქვს მოკიდებული. სასვენ ნიშნებად გამოყენებულია თვითთული სიტყვის შემდეგ მძიმე, ორწერილი, სამწერტილი ან ორი თუ სამი მძიმე. ხშირია აგრეთვე პუკარებზეშოთი ნიშნებიც: ქარაგმა, ორგვარი მახვილი და მძიმე.

ს. ყაუხჩიშვილისა და აკ. მანძის მიგნებით, ეს მახვილები აღნიშნავს ან სიტყვის დაბეგრას ან კიდევ ხმოვანის რაოდენობას. არ ვიცი რამდენად მართალია მათი აზრი, ვინაიდან თეიმურაზის წერილში სრულიადი თანამიმდევარობა არ ეტყობა ამ ნიშნების ხმარებას: მაგ. სიტყვას „მომფენსა“ აზის ხუთი მახვილი და „სამებისა“ სამი, კავშირს „და“ მოუღის ან ერთი, ან ორი მახვილი, ხან კიდევ არცერთი და სხვა.

წერილს ბოლოში შუა-წელზე რვალი ბეჭედი აზის შავი შეღებით გადახატული. ბეჭედში ჩაწერილია ჯვარი, რის ქანქარა ძელი, ზეძირკველზე ამოყვანილი, მთლად ავსებს შემოხაზული სრის დიამეტრს, მშინ როცა თარხულა ძელის მკლავებში უფრო მოკლე იმყოფება. ძელთა კვეთის წერტს გარსკაზმის მცირე გვირგვინი, ისე, როგორც ჯვარის თავს ამკობს პაწის ოთხკუთხედი ქოთარედი. ძელების აქეთ-იქ-

<sup>5)</sup> ამ წერილის თარგმანი „უმსგავსო და შორი-შორი“ ნახე M. Tamarati, L'Eglise Géorgienne, Rome 1910, 83-503.



ით თვითველ არეში ამოჭრილია თვითო მთავ-  
რული ხუცური ასო: ერთია კ. მეორე წააგავს  
ყ=ს, მესამე პ=ს, მეოთხე—?. ბეჭდის წარწერაც  
ხუცური ასომთავრულით არის ამოტვიფრული  
და იკითხება: **ქართლისა მტკიცედ მპყრ[ობე-  
ლი] მეფე თეიმურაზ.**

ეს პირველი ბეჭედი მეფე თეიმურაზისა, რომ-  
მელიც მინახავს. ის არ სჩანს მ. ბროსეს ნაწე-  
რებში და არც იქ. თაყაიშვილის „საქართველოს  
სიძველენი“—ში, სადაც თეიმურაზის მრავალი  
სიგელი = გუჯარია მოყვანილი, მარა ყველა მე-  
ფის ხელის — ჩხვით მხოლოდ.

წერილის შინაარსი. უცვლელობა თეიმურაზი  
ლათინთა მისიონერებისაგან იუწყებდა: თუ გნე-  
ბავს პაპი დაითახმო კათოლიკე საჩუქრთობა  
აღიარებო. მართლაც, ყველა თეატინელი მისიო-  
ნერის და თვით მ. თამაჩიშვილის ჩვენებით ამ  
წერილში პაპი აღიარებულია მსოფლიო ეკლე-  
სიის თავად, ვისაც მეფე კურთხევას და ცოდ-  
ვათა შენდობას სთხოვს და ემუდარება ისპანიის  
მეფესთან ხელშეკრულობა მომიგვარეო. ამასვე  
ადასტურებს გაუმსახინჯებული ეპისტოლე თა-  
რგმანი ლათინურ ენაზედ.

წერილი შედგენილია 20 ნომბერს 1626 წ.<sup>6)</sup>

III

**თეიმურაზის მეორე და ზაქარია კათალიკოსის  
წერილი პაპისადმი**

ეს ორი წერილიც აღმოჩნდა იმავე პროპაგან-  
დის არქივში: *Lettere di lingue straniere, vol.  
180, fol. 13* (მეფის წერილი) *fol. 14a.* (კათა-  
ლიკოსისა).

პალეოგრაფიულად ამ ორ წერილს ახასია-  
თებს თითქმის იგივე ნიშნები რაც პირველს.  
თეიმურაზის წერილს თვითველი სიტყვის შემ-  
დეგ უზის საში წერტილი, კათალიკოსისას ორი  
ან სამი. ორივეს სიდიდე არის 31 X 20 cm. ნა-  
წერისა 16 cm. მცირედ დაზიანებულია მეფის  
წერილი: მოკმული აქვს მარჯვენა მხარე. უკეთ  
შენახულია კათალიკოსის ეპისტოლე.

ორივე წერილს ახის ბეჭედი: თეიმურაზისას  
შავი მელნით, კათალიკოსისას წითლით. ბეჭდე-

ბი მოგჩიო რვაკუთხედიან კვერცხის სახედ; მე-  
ფისა უფრო წოპიანი და მალაღვი ვიდრე კათა-  
ლიკოსისა. მეფის ბეჭედში აქაც დიდი ჯვარია  
ჩაწერილი, რასაც თავს ადგია გვირგვინი. ჯვრის  
ძელთა მიერ შექმნილ თვითველ სიბრტყეში ამო-  
კვეთილია ბერძნული სეფის - კვერის სიტყვები:  
**IC, XC, NI, KA** ე. ი. იესო ქრისტე სძლეეს. ბე-  
ჭდის ხუცური წანაწერი, ქარავნების ვახსნით,  
შემდეგია: **ქ. წალობითა ღმრთისათა, თესლისა-  
გან დავითისა, მადიდებელი (?) სამებისა წმიდი=  
სა, ყოვლისა (?) საქართველოსა მეფე თეიმურაზ.**

კათალიკოსის ბეჭდის წარწერა თითქმის მთ-  
ლად ამომქრალია. აქა იქ მოსჩანს ხუცური რ. ს.  
კ. ე. აღზად: **ზაქარია კათალიკოსი ყოვლისა სა-  
ქართველოდას.**

შინაარსის მხრივ მეფე და კათალიკოსი პაპს  
აუწყებენ: თეატინელი მისიონერები მოვიდნენ  
და პატივით მივიღეთო. მეფე სთხოვს ექიმს და  
მხატვარს, ხოლო კათალიკოსი — ეკლესიის სამ-  
კაულს.

თეიმურაზის წერილი შედგენილია „ივლისის  
ერთსა“ 1631 წ. კათალიკოსის ნაწერიც იმავე  
ქორონიკონს უჩვენებს (1631 წ.) თვის აღუნიშ-  
ნავად; ესეც ივლისის პირველს უნდა იყოს შე-  
წყობილი.

ამ დროს რომმა უკვე უწყობდა ქართველთა  
გაჭირვებული ყოფა. თეატინელი პატრი ავითა-  
ბილე გორს რომ მივიდა და ქართლ — კახეთის  
მღვთმთარეობას გაეცნო, პროპაგანდას ვრცელი  
მოხსენება გაუგზავნა. სხვათა შორის იგი სწერ-  
და: მთელი სამეფო გაპარტახებულია. „მისი კაი  
ნაწილი შემოვილილი გვაქვს და შეგვიძლია  
გულ-მართლად ესთქვათ: ერთად ერთი სახლიც  
არ გვინახავს, რომელიც ფეხზე მდგარიყოს“;  
ხალხი გალატაკებულია, შიშველ — ტიტველი,  
შიშვლით ძალ = ღონე: მიხდილი. „ეკლესიები  
დანგრეულია, ხატები შერყენილი, საკურთხევე-  
ლი გაცარცული, გატაცებულია საეკლესიო  
ჭურჭელი, ბარძიმ — ფეშხუმი, ზარები. დაგლა-  
ხაკებული ეპისკოპოსები და მღვდლები, ესესა-  
რის ლტოლვილობიდან შინ დაბრუნებული,  
ყველა შესაძლებლობას მოკლებული არიან  
ტრაპეზები ავგონ როგორმე; ამიტომ პირდაპირ  
სატირალია, როცა კაცი ხედავს თუ წირვას რო-  
გორ წირვენ: უსანთლოდ, უგჯაროდ, მოშიშვე-  
ლებელ ტრაპეზებზე, ხის ბარძიმში, იმფერი სა-  
მღვდლო სამოსით, რომ ჩვენში მათ ტრაპეზის

6) ამ თარიღს იძლევა როგორც პროპაგ. არქ.  
იგივე კრებული, ფურც. 159 b. ისე ყველა სხვა  
ავტორიც.



გადასაწმენდათ ძლიერს ვიხმარებდით“<sup>7)</sup>. მიუხედავად ამგვარი სიგლახაკისა და ღრმა უფიცობისა, ხალხი მაინც გულს არ იტყვის, პირობით თავი ამყად უჭირავს და თითქმის ყველას ეს სიტყვები აკრია პირზედ: „ჭრისტეს სარწმუნოება რომ მთელს მსოფლიოზე აღმოიფხვრას, ჩვენში მაინც დაჩრება ჭეშმარიტი, წმიდა და უმწიკვლო ქრისტიანობა“<sup>8)</sup>.

ესლა მოვიყვანოთ ჩვენი შეძლებისამებრ აღდგენილი წერილები ახალი სასვენ - ნიშნებით: [...] ხარვეზს აღნიშნავს.

IV

A. წერილი თეიმურაზისა ურბან მე-VIII-სადმი, 20 ნოემბერს 1626 წ.

შამისა, ძისა, და [სულ]ისა წმიდის[ა], ერთ ღმერთებ[ისა], შეუჭვენელად მიყოფილისა და განუშორებელად განყოფილისა, საშებისა, ერთ არსებისა<sup>9)</sup> ჭეშმარიტებით თაყვანის - მცემელი, და მის მიერ მოქმედებული სარწმუნოებისა მისისა ძლიერად წელ - მერტყმული და მახვილის სულიერ[ისა] წმიდათა მოციქულთა აღლესულისა ხელად მიმღებელი, და ესრეთ მოქალაქეული, მხიარულებით ქრისტეს მ[იმარ]თ [მ]დგომობით, ღმრთისა<sup>10)</sup> მიერ დაცული, ეტლსა მეფობისასა აღსრული, მეფე ქართველთა ღმრთის მოყვარებით ძლიერად მპყრობელი, და შეურყეველად მტერთა მებრძოლი, და ქრისტეს უარის მყოფელთა უებრად მომსრველი თეიმურაზს აღმოსავლით მიესწერ რომს შინა აღმოძრწყინებულსა [დ]ედსა მზესა, მანათობელსა ყოვლისა, სოფლისასა, და ჩვენდა მარავანდისა მომფენსა, ლამაზარსა ოქროსა სასა[ნთელსა ზედა(?) დადგმულსა(?) ხერობინთაებ] აღნიუბულსა და სერაფიმებრ გაბრწყინებით წმიდისა სამებისა [მხილველსა(?)<sup>11)</sup>: (ხარვეზი).

...აქლსა და მათ ებრ<sup>12)</sup> ძედ ღმრთისად მეტყველსა და ქვეყ[.....]ელსა და ეს[...]-ს და მჯდო-

მარეს ეტლსა მათსა<sup>13)</sup> და მათის სარწმო[ნოე-ბისა(?)] მპყრობელსა პაპასა, ყოველთა ცასა ქვეშეთა უზესთაესსა, ეპისტოლითა ამით მათ- [...]ისა მგათისა საღთოსა<sup>14)</sup> სწავლისა წყალითა აღმოვიფხვრეთ უკვდავებისა სასმელად და ესრეთ [.....] ვითხოვთ ცოდვათა მოტეგებასა შენდობითა მგათითა.

მერმე ესე მოვასხენებთ დიდ[.....]ბლსა მათსა, რამეთუ ყოველი დამტკიცება ქვეყნისა ზედათა თვით უპყრიეს და რომელთაც [...და=ამტკი]ცებს, აწე მადლმა ქრისტესმან მეფე გუყ[ვ]ნა და ლოცვითა მგათითა დამტკიცება ჯერ გიჩნს და სათნ[ო.....] სახელსა მგათსა აღვამაღლებთ. სხუა კვალადი ხელიყოფა და მითხრობა ესე არს ჩვენ მიერ: უღთო(?) [.....] და ჩუენ ვიბრძვით წელ ათორმეტ არს, ჩუენ მადლთა თქვენთა<sup>15)</sup> და მხოხებითა არს ყოფთ ნებასა მ[ათისა.....] შენთა მცნებისა მღებელთა ვიდებთ და მით სრულ ყოფთ მოქალაქობასა ჩუენ [ი]სა ღირსების[ა]სა. [...ბრ] წყინვალედ აღმოცენებულსა თავსა შევერდებით<sup>16)</sup>, რათა თანაშემწეობა ყოს ჩვენი სახელისათვის იეს[ო]ს[ა.....ვი]თარცა იტყვის: ჩუენ ყოველნი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუენი. ესე ვითარისა ხმისა სმენა [.....]ნ. და ერთი წიგ[ნ]ი ხელმწიფეს სპანიას ვა[ა]ხლეთ და ერთი მგათ მისწერონ, რომ იყვენ<sup>17)</sup> და მან სიყვარ(?) [.....] და აქედამა ჩუენ, და სახელითა იესოს ქრისტესითა აღვხოცოთ პირისაგა [ნ] ქვეყანისა, რამეთუ [.....] უსჯულო წინაშე ღმრთისა, და ჯერ არს ურთიერთას სიყვარული და თანამწეობა, ვითარცა [.....სიყ]ვარული არს ქრისტე იესოისა და სიყვარულითა მისითა მოვსწერეთ საყვარელ [ი]ესე ქარტა და ვიგულის[.....]ეთ შესაყვარლება პირველ მოსაყდრობისა მგათისა. და ესე ჩუენი გულითადი მღდელ-მონა[ზონი...] ნიკიფო[რ]ე გვიანლება ჩუენ მიერად ხილვისა მგათისა განსაცდელად და ლოცვათა მგათთა თანა[.....]-რთ მოსახმელად. და ესრეთ მსწრაფლად მოგვენიჭენ მადლნი მგათნი, რათა ვიყვენთ ურთი

7) პროპაგ. არქ. Scritture originali Riferite, vol. 115, fol. 388-390.

8) ვატ. არქ. Fond. Borgia, series I, T. 1569, fol. 7-12, 1630 წლისა.

9) აქამდის უფრო დიდი ოქროს ასოებით.

10) ხელნაწერში ეს სიტყვა მუდამ შემოკლებულია, აქ ასე „ღთისა“.

11) აქამდის ფურც. 160b - 161a; დანარჩენი კი ფურც. 162a - 163a.

12) ლათინური თარგმანის თანახმად აქ ნაგულისხმებია მოციქულები და წინასწარმეტყველები.

13) ასეა.

14) ასეა.

15) ასეა.

16) შეუქრლებით(?).

17) გაუგებარია.

[ერსას.....] საღმრთოდ მოყვარულნი და მარადის მხსენებელნი უმეტესად კურთხეულისა საყდრისა მავათისა, და[.....]სა ჩემისა(?) და წმიდისა სახელისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ. დაიწერა ეპისტოლე ესე [ქორანიკონსა სამას ათოთხმეტ]სა ნოემბერსა<sup>18)</sup> ოცსა ქვეყანასა ქართლისასა, მეფეთ მეფე თეიმურაზ ქართველთა. (ბეჭედი).

**B. თეიმურაზის მეორე წერილი**

**ურბან მე-VIII-ისადმი. 1 ივლ. 1631 წ.**

(fol. 13a) ქ. წყალობითა ღმრთისაჲთა იესოან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატონიან მიფე.

ქ. ყოვლისა საქართველოსა მტკიცედ მპყრობელი, ჭეშმარიტად მართლ-მადიდებელი წმიდისა სამებისა, მეფე მეფეთა ღმრთივ გვირგვინოსანი თეიმურაზ<sup>19)</sup> ვიკატრებ [მოკითხუად], ეპა, თქვენ ყოვლად ქებულ[ისა ცა]თა მბაძავისა, კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა საჭეთ [მპყრობელ[ისა] და კლიტეთა მათ სასუფეველისათა მპყრობელისა, მოციქულთა თავისა პეტრე, სიმტკიცისა ქრისტესისა და პავლე, პირისა ქრისტესისა, ეკლესიისა ზედამდგომელ[ისა] პაპა რომისა მერვესა [წმი]დასა ორბანს<sup>20)</sup>

მადლობა სახიერსა და ჭეშმარიტსა ღმერთსა და [წმი]დასა ღმრთისმშობელსა მარადის ქალწულსა მარიამს, ვითა წმიდა [ეკლესი]ისა თქვენი კეთილად დასყარხებულ არს. აწუ თქვენი ბ[ერებ]ი მოვიდეს და მწვედ(?) გვეამა(?), და სადაცა გამოიჩინეს<sup>21)</sup> ჩვენს [....] დავაყენეთ. ეკლესიისკ კარგი ააშენეს.

აქამდის უსჯულ[ოთავა]ნ საქრისტეიანოს ბე-

18) ასეა.

20) მთელი წინადადება გაუმართავია: ყველგან უნდა იყოს ან ნათეს. ან მიცემ. ბრუნვა.

21) ქ. გორი.

22) ასეა.

ერი ძალი<sup>22)</sup> სჭირდა და აწ იესო ქრისტეს [.....] არავინ არს ქრისტეს მტერი(?). აგარიანთავან ჩვენი ეკლესია [დიდა]დ მოხრებული არს და რასაც ქრისტეს გულისათვის [ეკლესი]ის სამკაულითა და იარაღით მოგვეხმარებოთ ქრისტე დაგიმად[ლებსთ .....] არამ ჩვენ არა გვაკლის რა, და აქ არ იშობის და მხატვარი და აქ[იმი] (fol. 13b) გამოგზავნეთ. ქორანიკონსა სამას და ცხრამეტსა, ივლისსა ერთსა, კოზმან და დამიანესსა. (ბეჭედი).

**C. ზაქარია კათალიკოსის წერილი**

**ურბან მე-VIII-ისადმი 1631 წ.**

(fol. 14a) მერვესა რომისასა ორბანს.

ქ. მე დიდისა და ცათა მბაძავისა კათოლიკე ეკლესიისა, კვართისა საუფლოსა და მირონისა ღმერთ მყოფელისა, ჭეშმარიტად მართლისა სამებისა მქადაგებელი და ყოვლისა საქართველოსა დიდი მამათ-მთავართ მთავარი კათალიკოსი ზაქარია მოგიკითხავ შენ დიდისა და ცათა მბაძვისა მოციქულთა თავისა პეტრესი და პავლესი საყდრისა მქონებელსა პაპასა.

მერმე თქვენი ბერები მოვიდეს აქა. წიფრი გ[ებო]ძათ და მოსაკითხავი და მოგივიდათ<sup>23)</sup>. ღმერთმან ამოდ და შედნიერად გასყოფოს.

თქვენი ბერები არიან აქა და თქვენის გულისათვის ძმასა და შევილსავით მოვკპყრობივარით<sup>24)</sup> და მამულთ მიეციეთ და ეკლესიებიც ააშენეს. [უკეთუ] აქაურს ამბავსა და [ჩუე]ნისა(?) საყდრისასა იკითხუნ, ესე მოვასხენოთ: აგარიანთავან ავოხრებელი არს, და რასაც საყდრის იარაღით მოგვეხმარებოთ ჩვენგან არა მო[ი]ხსენების რა. ქორანიკონსა სამას და ცხრამეტსა. (ბეჭედი).

**მიქ. თარხნიშვილი**

რომი

18) ასეა.

23) ალბათ უნდა იყოს „მოგვიდა“.

24) ასეა

**პანუი აღმოჩენილ ლუკსოულ წარწერების შესახებ**

1895 წლის 13 ოქტომბერს ქართველებისათვის ბერლინის ანტროპოლოგიურ საზოგადოებაში ერთი შეტად საყურადღებო მოხსენება იყო წაკითხული. დიდი ზანია ვცდილობ მივხდე, თუ სად იწყება საქართველოს ისტორია. ჩემი აზრით,

პასუხი უნდა გვეძებნა ივერიისა და საქართოდ იმ ტომების ისტორიაში, რომელნიც მტკვრის ნაპირებზედ ჩამოყალიბდნენ, რათგან იქ წარმოიშვა ქართული კულტურა, ჩვენი მემკვიდრეების მიხედვით, ქართველებმა ბარბაროსობას თავი მხო-

ლოდ გაქრისტიანების შემდეგ დაახწეს. მართა= ლოს თუ არა ეს აზრი? აი საკითხი, რომელიც ჩემს წინაშე წარმოიშვა.

აღმოჩნდა რომ ის იქა, რომელიც ვანის ტბის აქემარეში ცხოვრობდა და რომელსაც ურარტელებს ან ალაროდლებს უწოდებდნენ, თავის თავს ქალდელებს ეძახდნენ. ამას მე-XIX ს. ვანში აღმოჩენილი ლურსმული წარწერები ამტკიცებენ, რათავე ამ რაიონში, შემდეგ დიდი კოლხეთი ჩამოყალიბდა, ბუნებრივად, იმ მცხოვრებთ, რომელნიც იქ ბინადრობდნენ სომხების შესევაშდის (მე-VII ს. ქრ. წ.), სომხების მონათესავე ურადს სთვლიდნენ. ხოლო, შემდეგ, მთელმა წყებამ მეცნიერებისამ ეს მცხოვრებნი ქართველების მოწათესავედ სცნეს: მათი აზრით, ენა უფრო ქართულს მიაგავს, ვიდრე სომხურსა.

ზემოდ დასახელებულმა მოხსენებამ სავეგებით დამარწმუნა შემდეგში: არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ ის კულტურა, რომელიც თამარის მეფობის უწინ, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შტკვირის ნაპირებზედ ჰყვავოდა, არის იმის ვამეორება, რასაც მე-IX — მე-VII საუკუნოებში ქრ. წ. ადგილი ჰქონდა ურარტელების იმპერიაში, რომლის უფრო სწორი სახელი ქალდელების იმპერიაა. ცხადია, ჩვენ სომხებზე მეტი უფლება გვაქვს, მათ ჩვენი წინაპრები ვუწოდოთ, და თუ სომხები (იხ. აღონციას წიგნი და სხვანი) მათ ურარტელებად მოიხსენიებენ, ჩვენ, ჩვენ ნაწერებში ქალდელებად მოვიხსენიოთ.

1895 წლის მოხსენება სამ ნაწილითგან შესდგება. მნიშვნელოვანი განსაკუთრებით ორია: ერთი ეკუთვნის მეცნიერ ლემანს და შეეხება თვით სახელს „ქალდელ“ და ამ სახელის მატარებელ ერსა. საკითხი იყო: ბერძენ ავტორების მიერ შემარქებული სიტყვა „ქალდელი“ ეკუთვნის ბაბილონიის სამხრეთით მცხოვრებთა ტომებს, თუ იმ ერსა, რომელსაც ურარტელები ეწოდებოდა და რომლის ქვეყანა მე-VII — მე-VI სს. სომხებმა დაიკავეს.

პირვანდელი სახელი იმ ერისა, რომელიც სამხრეთ ბაბილონიისაში ცხოვრობდა, ვაშდე არისო, ამბობს ლემანი, და ვინაიდგან „შ“ - „ლ“-ით შეიცვალა, წარმოიშვა სახელი კალდე, კალდაი; ამ სიტყვას „ხალდელთან“ საერთო არაფერი აქვს. ნამდვილი სახელი იმ ერისა, რომლის ტერიტორია სომხებმა დაიკავეს, არის არა ქალდელები, არამედ ქალდელებიო. განიხილავს რა ლემანი ქალდელების მიერ მშვენიერად მოწყო-

ბილ თავდაცვის, იურის კეთილდღეობის და მენობათა აგების საქმეს, დაასკენის, რომ მათი სახელმწიფოებრივი კონკეცია წმინდა თეოკრატული იყო და რომ მათ იგი სრულქმნილ ნიდაგზე აიტანეს.

მათი მთავარი ღმერთი „ქალდისი“ იყო. ყველა მისი თაყვანისმცემელი მის შეილებად და ქალდელებად ითვლებოდნენ.

დედა-ქალაქი — ტუშპა-ვანი — ამ ღმერთის სატახტო ქალაქი იყო: ქალდი-ქალაქი (ქალდინა). ყველა ციხე-სიმაგრეები, ხშირად ცენტრითგან დიდად დაშორებულნი, ქალდი-ქალაქის კარებად იწოდებოდნენ. მთელი ქვეყნის სახელი „ქალდია“, „ქალდის ქვეყანა“ იყო.

ძნელად საპოვარია, ვანაგობის ლემანი, ისეთი შემთხვევა, რომელიც ასე სუფთად და გარეგნული ფორმებით ადვილად გამოსაცნობი თეოკრატია ყოფილიყოს განხორციელებული.

აღსანიშნავია, რომ გერმანელი მეცნიერი, პროფესორი ჰოლდაკი თავის წიგნი (1907 წ.), საქართველოს სახელმწიფოსა და კერძო-უფლებრივობას თამარის იმპერიისას, ანალოგიურად ახასიათებს, როგორც თეოკრატის ხალხის კეთილდღეობაზე და გრანდიოზულ აღმშენებლებაზე დამყარებულსა.

კლასიკურ ავტორებითგან სჩანსო, ამბობს ლემანი, რომ კლასიკურ ხანაში, ქალდელები უკვე მთებში, ვანის ჩრდილოეთით და შავიზღვის ახლოს ცხოვრობდნენ, რომელნიც თემცა ვანის იმპერიის ეკუთვნოდნენ, მაგრამ ცენტრითგან დიდად დაშორებულნი იყვნენ. ეს ცვლილება, რომელიც მე-VII და მე-VI სს. მოხდა; გასაკვირველი არ არის: სწორედ მე-VII საუკ. ბოლოს, კიმერელების გალაშქრებასთან დაკავშირებით, ინდო-გერმანელთა შტო სომხებისა შეიხიზნა ამ ქვეყანაში: ხალხსა და ქვეყანას სომხის სახელი ეწოდათ.

ქალდელები იძულებულნი იყვნენ უდიდესი და საუკეთესო ნაწილი მათი ქვეყნისა სომხებისათვის დაეთმოთ და მთებში დასახლებულნი ყვნენ, რათა თავისუფლება დაეცვათ და სომხების მავალითს არ გაჰყოლოდნენ, რომლებმაც მედელების მსგავსად — სპარსების წინაშე ქედი მოიხარეს. ქალდელებსა და სომხებს შორის მტრული განწყობილება დამყარდა. ქალდელები სომხებს ხშირად არბევდნენ; კიროსმა ამით ისარგებლა და, სომხების დახმარებით, ქალდელები დაიმორჩილა. დაიღო ზავის ხელშეკრულო-

ბა. ქალდელები სახელგანთქმული მებრძოლნი იყვნენ და კიროსმა თავის ჯარში მიიღო. ამ ხელშეკრულებას ლემანის აზრით, მოჰყვა მემდეგი შედეგი: ეს ორი ჰეტეროგენული ნაწილი ერთმანეთში აღირია და წარმოიშვა სომხის ერთი იმ სახით, რომლითაც იგი დღეს არსებობს. ეს ნათლადა სჩანს სომხურ ენისაგან, არა მარტო მისი ფონეტიკური სისტემითგან, არამედ კიდევ გრამატიკალური წყობილებითგანაც; შობილებიან ინდო-გერმანელი ელემენტების დეგრადით, მრავალი ძირიან - ფესვიანად განსხვავებული ელემენტები „კავკასიურ“ ენისა, რომელნიც ქალდელებს ეკუთვნიან.

საკითხს, თუ რა უნდა ეწოდებოდეს პროტო-არმენულ ხალხს და პროტო-არმენულ ქვეყანას, ბერლინის ანტროპოლოგიურმა საზოგადოებამ რამოდენიმე კრება მოაწოდო. ლემანის თეზის დარღვევა იერავინ შესძლო და ამ საკითხს გადაწყვეტილად სთვლის: ქვეყნის კანონიერი სახელი არის ქალდეა, ხალხს ქალდელები. ამ სახელწოდებას სხვა სახელწოდებებთან შემდეგი უპირატესობა აქვს:

თუ იმ დროინდელ ერის ენას ვუწოდებთ, ახალი სომხური ენისაგან განსასხვავებლად „ძველ სომხურ ენას“ და სომხეთში ამოთხრილ ლურსმულ წარწერებს „ძველ სომხურ“ ლურსმულ წარწერებად მოვანათლავთ, დიდ ვაუგებრობას შევქმნით. თუ ვისმეს ჰსურს ამ წარწერებთან სომხებთან რაიმე ურთიერთობა გამოჰხატოს, უმჯობესი იქნება, ამ წარწერებსა და ენას პროტო სომხური უწოდოს.

აგრეთვე სჯობია რომ ეთნიკური სახელწოდებას გარკვეული ხასიათი ჰქონდეს და ვაუგებრობას არ იწვევდეს, ამიტომ სახელწოდება „ურარტელსა“ და „ალაროდელითან“ მედარებით სახელწოდება: „ქალდელებს“ მიეცეს.

\*\*\*

1895 წელს, ბერლინის ანტროპოლოგ. საზოგადოებაში, გერმანელმა არქეოლოგმა ბ-მა ბელკმა, მეორე საინტერესო მოხსენება წაიკითხა. საგანი იყო: ქალდელების მშენებლობის დახასიათება. ბ-მა ბელკმა ადგილობრივ შეისწავლა ვანი და მას თანახლად სომხის მეცნიერი, ვინმე მიკარტიჩიანცი. შესავალში ბ-ნი ბელკი ამბობს, რომ მშენებლობა ქალდელებისა დიდად განსხვავდება იმ ერების მშენებლობისაგან, რომელნიც ძველად თუ შემდეგში სომხეთში სცხოვრობდნენ. საკმარისა მცოდნე ადამიანმა ვანის ნა-

ნგრევებს თვალი გადაავლოს და დარწმუნდება, რომ მათი მშენებელი ქალდელები იყვნენ. ამ ნანგრევების შესწავლამ მე დამარწმუნა, რომ ქალდელები, შესხები, ტიბარელები და ქართვლები ერების ერთსა და იგივე ჯგუფს ეკუთვნიანო. ამ ჯგუფს ალაროდელებს უწოდებენ, მხოლოდ ამ ჯგუფებში ვხედავთ იმ გვარ შენობებს, რომელიც ქალდელებს უმხნებიათ.

შენობების იმ ნაშთებს, რომელიც ვანში და ვანის მიდამოებში აღმოაჩინეს, ბ-ნი ბელკი ორ კატეგორიად ანაწილებს: 1) მიწის ნიადაგზედ აშენებული და 2) მიწის ქვეშ.

მაალ და მნიშვნელოვან შენობათა ასაგებად ქალდელები მთის სიმაღლეებს ირჩევდნენო, განაგრძობს ბ-ნი ბელკი; და ისეთ სიმაღლეებს, რომლებიც სტრატეგიულად გარემოცულ არესა ბატონობდნენ და მტერს ახლო არ მიუშვებდნენ.

ხშირად ამ ადგილებს, მხოლოდ ერთად-ერთი მისავალი ჰქონდათ, მაგალითად ვანის, ტპრასკალესი, არმავირისა და სივა ადგილების კლდეები. ზოგჯერ კი ბუნებრივი მისავალი სულ არ არსებობდა და გზა კლდეში ხელოვნურად უნდა გამოეკვეთათ. ეს გზა ჩვეულებრივ მგზავრისათვისაც კი ძნელი გასავლელი იყო და იერიშით მიმსვლელი მტრისათვის კი, თითქმის, შეუძლებელი. ამ ძნელად მისავლელ სიმაღლეებზედ, ქალდელები, ცხე-სიმაგრეების გარდა, დიდ ტაძრებსა და სასახლეებსაც აშენებდნენ. ამისთანა ადგილებს „კარებს“ უწოდებდნენო. ბ-მა ბელკმა წარწერებში კარის სახელი, ლათინური ტრანსკრიპციით ამოიკითხა «Kapi» ცხადია რამდენად სახიფათოა ვანის წარწერების კვლევა, თუ მკვლევარი ქართულ ენას არ იცნობს. ქალდელების ტაძარნი ბ-მა ბელკმა სიტყვა „ზარი“-ც ამოიკითხა, ხოლო მისი მნიშვნელობა ვერ გაიგო.

ყველა ის შენობები, რომლის აგებას სომხთა ისტორიკოსი მოსე ხორენელი, სემირამისს და სომხების ლეგენდარულ წინაპრებს მიაწერს, ბრძანებს გერმანელი მეცნიერი, დღეს მეცნიერებისათვის ცხადია, რომ ქალდელების მიერ არიან ნაშენები. აი მოკლედ, რასაც ბ-ნი ბელკი გვაუწყებს მიწის ზევით აგებულ შენობების შესახებ.

ესლა რაც მიწის ქვეშ შენობებს შეეხება. ამ შენობათა მნახველი არ შეიძლება არ გააკვიროს იმ ენერჯიამ, რომელიც ქალდელებს გამოუჩენიათ კლდის წიაღში უზარმაზარი დარბაზების

გამოსაკვეთად. ეს შენობებიც ომიანობის დროს თავდაცვის საკითხს იმსახურებოდნენ.

„ამ შენობებს, ამბობს ბ. ბელკი, მოსე ხორენელი და მისი თანამედროვენი იცნობდენ, მხოლოდ სომხებს დადიწყებული ქონდათ მათი დაწინაურება. ეს იქიდან სჩანს, რომ მოსე, ხორენელს იგივე ყაჩაღებისა და ქურდებისაგან დამცველ თავშესაფარებად მიაჩნია.“

**„მე ვიცნობ მხოლოდ ერთ კავკასიელ ერსო, განაგრძობს ევრომანელი მეცნიერი, რამეღმაც ისეთივე ენერგიით, როგორც ქალდეებმა, უტებს კლდეების წიაღში უზარმაზარი შენობები ააგო — ეს არის ქართველი ერი, რომელიც იმავე ალაროდელითა ტომს ეკუთვნისო.“**

ქართველების მიერ კლდეებში გამოჭრილი ქალაქები, როგორც მთავალითად უარდციხე და უფლისციხე, მნახველებში უიარეს განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევს“-ო.

„უფლისციხე, ამბობს ბ. ბელკი, გორის ახლო მდებარეობს, ამიტომ ყოველი მზგავრისათვის ადვილია მისი ნახვაო, იგი ძველ წარმართობის ხანაში მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა“-ო.

მოხსენებას გერმანელი მეცნიერი შემდეგი შენიშვნით ათავებს: „მე მსურდა ხაზგასმით მიმეთითებია იმ მსგავსებაზე, რომელიც ქალდელებისა და ივერიელების მშენებლობის შორის არსებობს“-ო.

ჩვენის აზრით, ბ-ნი ბელკის მოხსენება უტყუარ საბუთს იძლევა ქალდელებისა და ივერიელების ახლო ნათესაობისა.

ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომელსაც ბ. ბელკის მოხსენება მოჰყავს, არის ნ. მარი. იგი 1916 წელს ვანის რაიონში ვათხრებს ხელმძღვანელობდა და შედეგები რუსულმა არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. მასში ნ. მარი ბელკის მოხსენებას მხოლოდ ზერეულედ ეხება, არც ერთი ადგილი, არც ერთი დებულება იქიდან არ მოჰყავს. ხოლო დიდის მორიდებით ეკამათება მიკირტიჩიანს, რომელიც ბელკს თანახლად ვანში და შენიშნავს, რომ ვანის წარწერების განხილვა მარტო სომხურის თვალსაზრისით შეცდომა იქნებაო, იმ დროს როდესაც ბელკი, აწკარად, გაბედულად, საბუთებით ხელში ამტკიცებდა ივერიელთა და ვანის იმპერიის შემქმნელ ივერიელთა ნათესაობას. ნიკო მარს კი არავითარი დასკვნა არ გამოჰყავს. იგი საკითხს თავისი ბუნდოვანი, იაფეტიური თეორიით მიუდგა, რომელიც ალარა-

ფერს ხსნის. ამა, რა მნიშვნელობა აქვს იმის მტკიცებას, რომ ესა თუ ის სიტყვა, ვანის წარწერებიდან ამოკითხული, ენათა იაფეტურ ჯგუფს ეკუთვნის? იაფეტური ენა ხომ აბსტრაქტული ცნებაა, ქართული ენა კი ცოცხალი რეალობაა, და ევროპიელ მეცნიერებმა, ვანის წარწერების გამოქვეყნების შემდეგ სწორედ ქართველოლოგებს ამოცანა წამოუყენეს: გამოერკვიათ ქართულ ენისა და ქალდელების ენის შორის არსებული ნათესაობა, იმათ სწამდათ, რომ ეს ნათესაობა არსებობდა.

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ლენორმანი თავის 1872 წელს გამოქვეყნებულ წერილებში, სახელდობრ მეორე წერილში, ფილოლოგიურ ანალიზის საშუალებით გარკვეულად ამტკიცებს ქართულ და ურარტულ-ქალდეურ ენათა ნათესაობას; ასეთივე აზრი გამოხატვა ინგლისელ მეცნიერმა სტინსმა (ამის შესახებ იხ. პრაჩე გე-შიხტე დერ მედერ უნდ პერსერ). ნ. მარი კი გაექცა ამ ჩვენთვის დიდათ საყურადღებო საკითხის გამოერკვევას, მან ჭეშმარიტება უმსხვერპლა თავის თეორიას, მაგრამ იგი მანც ვერ იხსნა, დასავლეთ ევროპის მეცნიერებმა არ მიიღო მისი თეორია.

ჩვენის აზრით, ბ. ბელკის მოხსენების შემდეგ ეკვს გარეწვა ქართველების და ურარტელებს შორის ნათესაობა. მხოლოდ ეს გარემოება ჩვენს მეზობლებს, სომხებს, სრულებით არ ართმევს უფლებას, ურარტელები თავიანთ წინაპრებად ჩასთვალონ. როდესაც სომხებმა ვანის რაიონი დაიკავეს, ყველა ქალდელებს კი არ დაუტოვებით თავიანთი ქვეყანა, ნაწილი მანც დარჩა ადგილზე. ვინაიდან ქალდელები, მესოპოტამის კულტურას ზიარებულნი, სულიერად სომხებზე მალლა იდგნენ, უნდა მომხდარიყო ის, რაც ისტორიაში ზმირად მომხდარა: დამარცხებულის კულტურამ გამარჯვებული მონათლა. ამიტომ სომხებს შეუძლიანთ ქალდელები თავიანთ წინაპრებად ჩასთვალონ, სულიერად მართლადაც ქალდელები მათი წინაპრები არიან.

დღე, სომხებმა ქალდელებს ის სახელი უწოდონ, რომელსაც მათ ასურელები უწოდებენ, ე. ი. ურარტელები, და თავიანთი ისტორია მათ დაუკავშირონ. ჩვენ კი, ქართველებმა მათ ის სახელი ვუწოდოთ, რომელსაც თვით ისინი თავიანთ თავს უწოდებდენ, ე. ი. ქალდელები. მათი ენისა და ცივილიზაციის შემკვიდრენი ჩვენა ვართ.

# ნიკუსალიმის კართული ჯვარის მონასტრის მოზაიკის კართული წარწერა და ე რ ე კ ე ი .

ჩვენი კრებულის მეხუთე რვეულში გამოქვეყნდა საინტერესო სურათი იერუსალიმის კართული ჯვარის მონასტრის მოზაიკისა. ირგვლივ ქართული ასომთავრული წარწერით. ეს მოზაიკა თურმე, ვადმოცემის მიხედვით, „ფარავს მონასტერში ჯვრის ადგილს, რომელზედაც ქრისტე აწამეს“. ბ. პროფ. მის. წერეთელმა ამ წარწერას ყურადღება მიაქცია და ამოიკითხა. პატივცემული პროფესორის ნებართვით მოგვყავს აქ წარწერის მხედრული ტექსტი:

**უქარაგმოთ:** „ჩვენ მეფეთ მეფის იერეკლეს ასულმან ელენე შევეკანძმეთ კვარცხლობეკი ესე, ადგილსა წმიდისა გოლგოთიისა, რომელს ზედა იჩინა(?) ერთი(?) ძელი ჯვარისა, რათა მეოხ და მფარველ გვეყოს მეუღლით, ძით და ასულით. ქრისტეს აქეთ 1723“.

წარწერაში მოხსენებული „მეფეთ-მეფე ერეკლე“ იყო ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე I (1688 - 1703), შვილისწვილი კახეთის მეფის თეიმურაზ I (1605 - 1648). იგი იყო მამა თეიმურაზ II-ის (1744 - 1762) და პაპა სახელწოდანი ერეკლე II-ის (1744 - 1798). ერეკლე პირველის მთელი ცხოვრება აღსავსე იყო ისეთივე მძაფრი დრამატიზმით, როგორც სხვა ქართველი მეფეებისა, მოყოლებული განსაკუთრებით თეიმურაზ I-ით და ილუარსაბ II-ით (1605 - 1616), გათავებული ვახტანგ მეექვსით (1703 - 1724).

ქართველი ერის სისხლიანი თავგადასავალის მთელს ისტორიაში მე-17-ე საუკუნე განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოირჩევა, როდესაც ჩვენი ერის სასოწარკვეთილებამ თავის აზოვეს მიაღწია. საქართველოს თავისი პოლიტიკური დანაწილება სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ისე მწვავედ და საბედისწეროდ, არასოდეს არ უგრძენია, იმოდენი ნგრევა, სისხლის ღვრა და ფიზიკური განადგურება არასოდეს განუცდია, როგორც ამ საუკუნეში.

და განციფრებაში მოდის ადამიანი, როდესაც ამ სამინილებათა იგვერდით, ამგვარი აგონიის ხანაში, ვხედავთ შაჰის მიერ დადგინებულ და მის მორჩილ მუსულმან და არა მუსულმან მეფეთა დაუღალავ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ქრისტიანობის გაბედულად დაცვას და ამაღლებას, და იგივე: როდენი ენ-

რგია ჰქონია მაგრატიონთა სახლს და მის ცალკეულ წარმომადგენელთ, როდენი მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, გეოგრაფოსი, ფილოლოგი, ლინგვისტი, კალიგრაფი, მოსამართლე, სჯულ-მდებელი, მღვდელთმთავარი, მხედართ-მთავარი, სახელმწიფო კაცნი მისცა მან საქართველოს. ამგვარ პიროვნებათა დაუშრეტელ ენერჯიას და ღვაწლს უნდა ვუთხადლოდეთ, რომ საქართველო თან არ გადაჰყვა მეჩვიდმეტე საუკუნეს. მაგრამ მიუხედავად ამისა ამ საუკუნემ საქართველოსაგან თავისი ხარკი აიღო და ვერავითარმა შაჰნავაზებმა და კათოლიკოს-ეპისკოპოსთა შერისხვებმა ეს ბევარი ვერ ააცილა ქართველი ერის ბედ-იღბალს:

ამ საუკუნეს ეკუთვნის შაჰ-აბაზის შემოსევები და კახეთის სისხლიანი ეპოქა; ქეთევანის წამება, შალვა, ბიძინა და ყლიზბარის თავდადება და წამება, და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი სხვა უბედურება! ამავე საუკუნეში დასრულდა სრული გამაჰმადიანება სამცხე-საათაბაგოსი. ეს ოდესღაც ქრისტიანული და საერო კულტურის კერა საქართველოსი, გადაიქცა ოსმალების უძლიერეს ფორპოსტად და ბაზად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომელსაც მონური ერთგულებით აწარმოებდნენ გამაჰმადიანებული, „ფაშებად“ და „ბეგებად“ ვაღანათლული, ძველი ათაბაგების გვარეულობა და მესხეთის დიდებულები.

\*\*\*

ერეკლე I, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ ნაზარ-ალი-ხანი ეწოდებოდა, მთელი თავისი ცხოვრების დრამატიზმით და ფსიქოლოგიით მე-17-ე საუკუნის ტიპიური წარმომადგენელი იყო.

ერეკლე ცხრა წლის ბავში იყო, როდესაც იგი პაპამისმა თეიმურაზმა პოლიტიკურ-დიპლომატიური მოსაზრებებით 1652 წ. რუსეთში გაგზავნა, ხელმწიფე ალექსი მიხეილისძესთან (1645-1676). 1648 წლიდან თეიმურაზი თავისი ოჯახის ნაშთით და კარის დიდებულებით იმყოფებოდა რაჭაში, მისი სიძის, იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის ნებართვით და რაჭის ერისთავის პაპუნას მფარველობის ქვეშ; ეს იყო მეხუთე-ჯერ განდევნა თეიმურაზისა თავისი სამეფოდან 1605 - 1648 წ. განმავლობაში, 1649 წ. მან სპა-

\* იხ „ბედი. ქართ.“ № 5, 1949 წ., გვ. 33,

რსეთის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად კიდევ ერთხელ გაუგზავნა ელჩები რუსეთის ხელმწიფეს. ეს ელჩები და თავის მხრივ რუსეთის ხელმწიფის მიერ გამოგზავნილი ელჩები, 1651 წელს ზაფხულში დაბრუნდნენ თეიმურაზთან რაჭაში. მომავალი წლის გაზაფხულზედ, როდესაც მთებში თოვლი გადნა და გზები გაიხსნა, ელჩები გაემგზავრნენ მოსკოვისაკენ. თეიმურაზმა მათ გაატანა თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილი ერეკლე დედითურთ, იელენე ლეონის ასულით\*), აღმზრდელობით და ამალის თანხლებით. მანამდე თეიმურაზს სურდა თავისი ვაჟის, ერეკლეს მამის, დავით ბატონიშვილის გაგზავნა, მაგრამ ეს უკანასკნელი, ერთერთს ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი წამებით მოკვლეს სპარსელებმა. თეიმურაზის განზრახვა იყო რუსეთის ხელმწიფის და, ტატინა მიხეილის ასული, გამოეთხოვა ერეკლეს საცოლედ და ამით ნათესაურად დაკავშირებოდა მოსკოვის ტახტს.

პატარა ერეკლე 1653 წ. 27 დეკემბერს შევიდა მოსკოვში. მას, დედითურთ, მეფური შეხვედრა მოუწყვეს. 1654 წ. პირველ იანვარს თვით ხელმწიფემ შილო თავის სასახლეში. ქართველი ბატონიშვილი, რომელსაც რუსეთში სახელად ნიკოლოზი უწოდეს, ანუ როგორც მაშინ რუსნი უხმობდნენ: „კარგიჟი ნიკოლოზი დავიდოვიჩი“, ხელმწიფის კარზედ უფრო მეტის პატივით იუყრათ, ვიდრე თვით რუსეთის იმდროინდელი იმპერატორის სხვა ქვეშევრდომთა უფლისწულები, რაც საქართველოს პოლიტიკური წონის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. ამ დროიდან მოყოლებული ერეკლეს თავისი ბავშობის, ყრმობის და ჭაბუკობის ხანაში მოსკოვში მოუხდა ცხოვრება. ხელმწიფე მას თავის ვაზრდილად სთვლიდა და ანებიერებდა. ლაშქრობაშიც დაჰყავდა თავის გვერდით. ერეკლემ კარგად შეისწავლა რუსული ენა, თვით რუსი ხალხი და მათი ისტორია. იგი არასოდეს არ იშორებდა ფიქრიდან თავის წამებულ პაპს, თეიმურაზს, და ხელმწიფეს სთხოვდა მისთვის და საქართველოსათვის შეელოს. იყო დრო, როდესაც იგი დიდი იმედებით უცდიდა რუსეთის ხელმწიფის წყალობას: დახმარებას ჯარით! რათა შემდეგ ამ ჯარით დაბრუნებულიყო სამშობლოში, შემოეკრიბა ქართული მხედრობა და შეერთებული ძლიერი ლაშქრით გადამწყვეტ ბრძოლაში ჰკვეთებოდა მუსულმანურ ზღვას, აელვამა მაჰმადიანთა თავგასუ-

ლობა და მათი მიძიმე ულლისაგან ეხსნა სამშობლო და გადაერჩინა ბაგრატიონების ტახტი. იგიც, ისე როგორც ყველა ქართველი ბაგრატიონი, ოცნებობდა საქართველოს გაერთიანებაზე, დავითის და თამარის ქართული საზღვრების აღდგენაზე! ოცნებობდა ქართველი ერის სულიერ და მორალურ ამაღლებაზედ, გადახალისებაზედ, ერის კეთილ ცხოვრებასა და მშვიდობაზედ. იყო დიდი იდეალისტი, კეთილ-მორწმუნე და რჯულ-მტკიცე, ბუნებით ფიცხი და კარგი მხედარი, მაგრამ სუსტი ნებისყოფის, ფიქრებში წასული, მხოცნებე, რბილი ხასიათის ადამიანი. იგი კარგა ხანს გულს არ იტყებდა და იმედით მოელოდა რუს-ხელმწიფის დახმარებას. და თუ ამ წყალობას აგვიანდებოდა, ამას ერეკლე აბრალებდა თვით მაშინდელი რუსეთის აწეწილ-დაწეწილ საშინაო და საგარეო მდგომარეობას.

ერთხელ, მისი მოსკოვში ყოფნის დროს პაპა თეიმურაზიც ეწვია მოსკოვს. ეს იყო 1658 წ., ზაფხულში. ამ წელს კახეთი დიდ გასაჭირს განიცდიდა სპარსელების მიერ კახეთის მმართველად დანიშნული განჯის ხანის, სელიმის, შიშვე ოკუპაციისაგან. სელიმმა დაიწყო კახეთში თურქი მომთაბარე ტომების ჩასახლება და კახეთის მდიდარი მიწების მათზედ გადაცემა.

თეიმურაზი, პირველი ქართველი მეფე, რომელიც მოსკოვს ეწვია, აგრეთვე მეფური დიდებით მიიღეს, ხელმწიფის სასახლეში მთელი საუფეგ გამოთინეს, რომ ქართველი მეფე თავისი სიამიღრით გაეკვირვებიათ; მაგრამ იგი ამას სრულიად არ აქცევდა ყურადღებას. მთავარი ის იყო, რომ იგი ძლიერ გულგატეხილი დაბრუნდა უკან: მან ვერ მიიღო რუსეთისაგან ჯარით დახმარება!—მიუხედავად ამისა 1659 წელს შეკრბა ამბოხებულ მთიელთა, თუმ-ფშავ-ხევსურთა, მთიულთა და მოხევეთა ლაშქარი და თვით იკვეთენ სელიმ-ხანს, აიღეს ბახტრიონი და დაწმინდეს კახეთი ჩამოსახლებული ტომებისაგან. ტახტი შესთავაზეს თეიმურაზს, მაშინ 70 წლის დაუძლურებულ, დაღლილ მოხუკს, რაც მან ვერ აასრულა შაჰის შიშით, რომელსაც შეეძლო კახეთის დასაჯგულად ახალი საშინელება ჩადინა და განმეორებულიყო შაჰ-აბაზის დღეები. პირიქით, რუსეთზედ გულგატეხილი, იგი 1660 წელს თვით იახლა ისპაჰანში შაჰს. მაშინ კახელებმა რუსეთში მყოფ ბატონიშვილ ერეკლეს მიუხმეს. არც ერეკლეს მისცეს ჯარი რუსებმა. მხოლოდ „მეფური გაცვილება მოუწყვეს“.

\*) იგი იყო დიასამიძის ასული.



ერეკლე მცირე აზაღის თანხლებით გადავიდა მცირე ყაზარქაზედ და მიაღწა ალაზანის სათავეებს. აქედან სცადა ძალით აეღო კახეთი, რომელიც კვლავ სპარსელებს ებყრა. 1662 წელს შაჰისაგან იძულებულმა თეიმურაზმა სანდო კაცი გამოუგზავნა შვილიშვილს და მოუწოდა შაჰთან გამოცხადებულიყო, რაზედაც ერეკლემ ცივი უარი შესთავალა: იგი ჯერ კიდევ შებოროკილი იყო ირუსეთის იმედებით! ამ ცივმა უარმა იმსხვერპლა თეიმურაზი. შაჰმა მას ორგულობა დასწამა და ასტრახადის ციხეში ჩასვა, სადაც იგი ერთი წლის შემდეგ, 1663 წელს, გარდაიცვალა. თეიმურაზმა მთელი თავისი ოჯახი შესწირა განმათავისუფლებელ ბრძოლას და თავიაც ზედ გადაჰყვა. მას მხოლოდ ერთადერთი შვილი - შვილი, ერეკლე, დარჩა მისი დიდი ოჯახიდან.

ერეკლე 1664 წ. განაჯრძობს ფიცხელ ბრძოლას უზურპატორებისა და ოკუპანტების წინააღმდეგ, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. რაკი ტახტის დაბრუნება ვერ შესძლო, 1666 წელს ისევ რუსეთში დაბრუნდა. კვლავ იდიდებული შეხვედრებით და მოფერებით დაუწყეს დაპირება. იგი ამ დროისათვის საესეებით დავაჟაკებული და გამოცდილი კაცია. უკვე ნათლად ხედავდა, რომ რუსეთის ხელმწიფე მას მხოლოდ მეფური ცერემონიებით იყოლიებდა და საჩუქრების მეტს არავითარ პრაქტიკულ დახმარებას მისთვის არ იმეტებდა. იგი თანდათან შეიპყრო სურვილმა ეასცილოდა რუსეთს და თავისი მიზნის მიისაღწევად სხვა ხერხი ეხმარა: ხლებოდა შაჰს და „ჭკუით მოეცყებია“ იგი. ეს იდეა მასში წლებით ფეხს იკიდებდა და მაგრდებოდა.

1671 წელს მოხუცებული ხელმწიფე, ალექსი მიხეილისძე, მეორედ დაქორწინდა 20 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარინჯკინზედ. ერეკლე ბატონიშვილი მეფემ თავის „ტისიაცკად“ გაიხადა, როგორც ყველაზედ უახლოესი, საპატივცემული პიროვნება და მისი „გაზრდილი“. ამგვარად ერეკლე სიძის ჯვარის მამა იყო. 1672 წ. დედოფალ ნატალიას შეეძინა ვაჟი, პეტრე, მომავალი დიდი იმპერატორი რუსეთისა. ერეკლემ პეტრეს ნათვლაზედ სხვებივით უბრალო მლორცვა კი არა, არამედ ვრცელი სიტყვა წაჩმოსთქვა. მისი განსაკუთრებული სიახლოვე მეფესთან და ახალგაზრდა დედოფალთან აღსანიშნავია და დამაფიქრებელი, რომელმაც შემდეგში მთელი ლეგენდა შექმნა: თითქმის ერეკლე იყო ნამდვილი მამა პეტრე დიდისა. ეს ლეგენდა გან-

საკუთრებით ქართველებშია გავრცელებული, მაგრამ თვით პეტრე დიდის ცხოვრების უკვე ცნობილი ნიუანსები და ბევრი სხვა საგულისხმიერო „წვრილმანები“, ამ ლეგენდას როგორღაც საფუძველს უმაგრებენ.

1673 წელს ირაკლიში საესებით მომწიფდა რუსეთის დატოვების და შაჰთან წასვლის აზრი, რაც მან კიდევ შეასრულა: 22 თებერვალს იგი მოსკოვიდან გავიდა. ეაცილება უკვე „ცივი“ და „უბრალო“ იყო. ერთი წლის შემდეგ შაჰის კარზედ იმყოფება. ერეკლემ იგი ჭკვით ვერ მოატყუა და ამ აღმოსავლეთელ დესპოტთან დიპლომატიური ხერხები არ გაუვიდა. 14 წელიწადი აწამა იგი შაჰმა, აიძულებდა გამოეცვალა რჯული, სამაგიეროდ ჰპირდებოდა: ქართლ-კახეთს, ვანჯას, ყაზახს, ადერბეიჯანს, ერევანს და სხვა სახანოების გადაცემას, რომელიც ერთად აღებული სპარსეთის იმპერიის ერთ მეხუთედს უდრიდა. 14 წელიწადი ეწინააღმდეგებოდა ერეკლე შაჰის სურვილებს, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა: უარჰყო ქრისტეს რჯული, მოინათლა შაჰმადიანად და გამოუცხადა შორიკლება შაჰს. მხოლოდ ამის შემდეგ შესძლო ერეკლემ, შაჰის ნებაართვით და დახმარებით, 1688 წელს ქართლ-კახეთის ტახტზედ ასელა ნაზარალი-ხანის სახელით. გულით იყო ქრისტიანი და ფარულად ცდილობდა ქრისტიანობის განმტკიცებას. დადიოდა მეჩეთში, მაგრამ ფარულად მოსვიდა ქრისტეს, იღებდა აღსარებას და ხიარებას და შესთხოვდა ღმერთის პატიებას შვილებისათვის. იგი ეადვიდა პასიური წინააღმდეგობაზედ. მას ირუსეთისაკენ პირი აღარასოდეს უქნია. შაჰისათვის ერთხელ მიცემული სიტყვის გატეხა აღარ მიანდა საჭიროთ: იმედების გაცრუებით გულ-გატეხილი, ცხოვრებისაგან ვათელილი და მოთენთილი, ებატოროტებული ირაკლი ნაზარალი-ხანი არც თავის მეფობაში იყო მოსვენებული. იგი კანონიერი შემეკადრე იყო კახეთის ტახტისა, მაგრამ შაჰის შემწეობით ქართლის ტახტიც ეჭირა. ამას თან ახლდა დაუსრულებელი შფოთი, ბრძოლები და სისხლის ღვრა. გიორგი XI, რომელსაც ერეკლემ ქართლის ტახტი წაართვა, მოუსვენრად ებრძოდა მას და 1691 წ. ისევ გამეფდა. ოთხი წლის შემდეგ სპარსული ჯარის შემეგობით ირაკლი ხელმეორედ იბრუნებს ქართლს. ასე ეპყრა ეს მეწყევი ტახტი ერეკლე პირველს 1703 წლამდე. ამ წელს იგი შაჰმა გადააყენა და ქართლის გამგებლობას მისცა ვახტანგ VI-ს.

ძველი ქართველი ისტორიკოსები ქრეკლე I ნაზარ-ალი-ხანს უარყოფით პიროვნებად ახასიათებენ; მიუღღამელი დაკვირვება და შესწავლა შეჩვიდმეტე საუკუნის და ამ საუკუნის წინა და შემდეგი საუკუნეებისა ნახევრებისა, გვიჩვენებს, რომ ქრეკლე I-ლი განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა სხვათაგან. იგი იყო ტიპიური შვილი იმ საუკუნისა: უბედური, ორი რჯულის მპყრობელი, გაბოროტებისაგან დესპოტად ქცეული. აღმანიანის სულიერი ბუნება ისეთია, რომ დიდი იმედების დაცრუებას, ცხოვრებაზედ გულგატეხილობას და უქმყოფილებას, თან მოჰყვება ხოლმე უარყოფითი სულიერი გარდაქმნა, რაც უმეტეს შემთხვევებში, უნებისყოფი და სუსტ აღმანიანს უფრო მძალადრად ჰკიდებს ხელს.

ქრეკლე ნაზარ-ალი-ხანმა ვერ შესძლო ვახტანგ მეხუთეს მსგავსად, მოხერხებული თვალის ახვევით და შეფარული პასიური წინააღმდეგობის გაწევით ემართა სპარსეთის უღელში მებრძოლი მისი ქვეყნის ბედი.

ზემოდ მოყვანილ წარწერებში მოხსენებული ტიტული: „მეფეთ - მეფე“, არც მას და არც სხვა რომელიმე ქართველ მეფეს იმ დროისას არ შეეფერებოდა. პოლიტიკურად საქართველო საშინლად დაძაბუნებულ, სუსტ ერთეულს წარმოადგენდა, გაყოფილ სამეფო-სამთავროებად. ოსმალურ-სპარსული სააღმინისტრაციო წესით: საბეგლარბეგობად, სანჯაყებად, სახანობად და საფაშალიყობად, ქონებრივად ფალატაკებულს და ზნეობრივად დაცემულ-დამდაბლებულს. ამგვარად: „სუფევაზედ“ და „მეფეთ = მეფობაზედ“ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. თვით ვახტანგ მეექვსე სწერს ერთგან: „მეფენი ბევრჯელ ემთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომ ოდენ სახელილა რქმევიათ. როგორც ყმათ სდომნათ, ისე უსამართლებით და ურიგებიათ. ამისი მომსწრენი მცეც ვარ და სხვანიც მრავალი“\*).

არჩილ მეფეც ერთს შაირში სჩივის: „მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე ფენი ჩემისად ბუნებისად“.

იყო იდრო, როდესაც სრულიად საქართველოს მეფეს „მეფეთ = მეფობის“ ტიტული შესაფერი-სად და ღირსეულად ნამდვილად ეპყრა: საქართველოს გაერთიანებისა და ერთმეფობის ხანაში,

\* ) იხ. საბა - სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიკრთისა“, თბილისი, 1928 წ., გ. დეონიძის წინასიტყვაობა.

საქართველოს ძლიერების დროს, სრულიად საქართველოს გვირგვინოსანი, სამეფო სკიპტრის მპყრობელი, მაშინ იყვნენ „მეფეთ - მეფენი“, რაც საქართველოს ცალკე სამეფოების და სამთავროების თანდათანობით გაერთიანების და „ერთმეფობის“ მორჩილების ქვეშ შემოყვანის პროცესის გამოხატველი ფორმულა იყო. რკოდესაც საქართველო პოლიტიკურად საბოლოოდ დაქუცმაცდა, მაშინაც ბაგრატიონები, ცალკეულ სამეფოთა მეფენი, ტრადიციულად მანც „მეფეთ - მეფებს“ უწოდებდნ თავს, სრულიად შეუფერებლად, რაც ბოლომდე იგაგრძელდა.

წარწერაში მოხსენებული ელენეც, ქრეკლე პირველის ასული, როგორც ბაგრატიონის სახლის შვილი, ტრადიციას არ ღალატობს და თავის უბედურ, წამებულ მამას, ოდესაც მართლაც მეფეთ - მეფობაზედ და გაერთიანებულ საქართველოზედ მყოცნებე ბაგრატიონს, სახელოვანი თეიმურაზის შვილისშვილს, იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის მონაიკის სავედრებელში „მეფეთ = მეფობით“ იხსენიებს და აღიღებს\*\*).

ექ. გვი კობახიძე

\*\* ) ვრცლად ერეკლე I-ის შესახებ იხ. ვლ. ტატიშვილის მონოგრაფია: „ქართველები მოსკოვში“. წიგნი I, ნაწილი I: „ნიკოლოზ ბატონიშვილი“. თბილისი, 1947 წ.

**პანაშვიდი ქართულ ეკლესიაში მარიამ დედოფლის მოხსენებლად**

კვირას, 2 აპრილს, ქართულ ეკლესიაში, საქართველოს კულტურის შესწავლის საზოგადოებამ გადაიხადა პანაშვიდი ჩვენი უკანასკნელი დედოფლის გარდაცვალებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად. ეკლესია დამსწრეთ ძლივს იტყუდა. პანაშვიდის დასაწყისში მამა ილიამ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა წამებულ დედოფლის შესახებ. კარგად გალობდა გუნდი ბ. თ. თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც მონაწილეობდნენ: ბ.ბ. ბ. ბადურისშვილი, ნ. ბოკუჩავა, დ. კლდიაშვილი, ს. მამულაშვილი, ვ. ველიძე, კ. სალია, ვ. ხომერიკი და ა. ჯინჭარაძე.

იმეფე საზოგადოებას სურდა საღამო მოეწყო ყველა ქართული ორგანიზაციების მონაწილეობით, რათა ღირსეულად აღენიშნა ეს დიდი მნიშვნელობის დღე, მაგრამ, სამწუხაროთ, თავისი სურვილი ვერ განახორციელა მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო.

### ბრიგოლ როგაჰიძის საღამო ქართული სიტყვისა

იანვრის 22, პარიზში, საქართველოს კულტურის შესწავლის საზოგადოებამ ივანე ბერი-გოლ როგაჰიძის საღამო ქართული სიტყვისა, რომელსაც დაესწრო პარიზის მთელი ქართველობა.

შვეიცარიიდან ჩამოსული სტუმარს სცენაზედ შეხვდნენ საზოგადოების ბიურჯოს წევრები: ექვან ბატაძე, ლომიანი, გიორგი კერესელიძე და კალე სალია. გ. კერესელიძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა მწერალს, აღნიშნა ჯეროვანი შეფასებით მისი როლი ქართულ ლიტერატურაში. შემდეგ ამას სცენაზედ ავიდა თვით ავტორი „სალამოსა“, რომელსაც საზოგადოება შეხვდა არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით. მომხსენებელმა ჯერ მაძლობით მიმართა საღამოს მომწყობთ. თქვა: „მაძლობელი ვარ, ბატონო გიორგი, თქვენნი გულთბილი სიტყვისათვის, რომელიც თანვე გულუხვიცაა. როგორც ასეთი, იგი ბუნებრივია, მახარებს მე, მახარებს და მამხნევებს, თანაც შევალეხ: ვამართლო და ვანამდილო თქვენი აზრი ჩემზე“. მერე გადახედა გვერდით მჯდომ ვახტანგ ლამბაძეს. „მაძლობას ვუხდი ჩვენს ვახტანგსაც, რომელიც, პოეტურად რომ ვთქვა, იყო მესასხვის ყოველთვის როგორც ქარვა, ამონათბულო შეინდის ფერი შუქით საქართველოს ჩამავალი მზისა. შემდეგ კ. კალიას მიმართ განაცხადა: „მაძლობით უნდა მოვიხსენიო ჩემი მეგობარი კალეც, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ საღამოს მოწყობისათვის. პარიზში თუ ჩამოველ—ეს მისი მეთვლით. უნდა ვახსენო აქვე ყურნალი „ბედი ქართლისა“, რომელიც მისი რედაქტორობით გამოვიდა, გამოსცემის მძიმე პირობებში. ეს ყურნალი შესაძლებლობას მაძლევს: დრო და დრო გავესაუბრო ხოლმე ჩემს თანამემამულეთ“. შემდგომ მიესალმა საზოგადოებას და შეუდგა მოხსენებას. ვეცდებით მოკლედ გადმოგვით უკანასკნელი, დაახლოვებით მისივე სიტყვებით.

„გულის გენია უფრო ცხოველმყოფელია, ვიდრე გენია ფონისა—ქართული გულის გენია ორი სიტყვით შემოიძლია გამოვხატო: „გახარებ-გაიხარებ“, არა პირუტყუ. ამ გეზით მინდა გავმართო ჩემი დღევანდელი სიტყვა. მსურს გავახაროთ და ამით მეც ვავიხარო. ჩვენ ქართველებს, გვიწამს „სხვა“. სხვა „უცხო“ არის და გვესახება იგი ხომ როგორც სანატრიელი: „საუცხოვო!“ შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს: ვითომც მე მხო-

ლოდ ჩემი თავი მწამდეს. არ იქნება მართალი. მე მწამს ჩემი თავი, ვინათგან სხვა მწამს.

მინდა გავახაროთ, განაგრძო მომხსენებელმა, გავახაროთ შემდეგი დებულებით: ქართული ენა უგენიალესი ქმნილებაა ენათა შორის. ამას სიმართლე მალაპარაკებს და არა მამულიშვილური გრძობა. ჩემთვის ღრმად მორწმუნესათვის, ჯერ სიმართლეა და მერე მამული. მამული ეს უტკბილესი რამ, არარაა, თუ იგი სიმართლით არ არის ამოქმედებული. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ მამულიშვილმა არ გაიხაროს, თუ სიმართლე აძლევს მას გასახარებლს. ქართული ენა უგენიალესი ქმნილებაა ენათა შორის—ეს ჯერ სიმართლეა (ყველასათვის) და შემდეგ გახარება (ქართველთათვის). რაში გამოსახლება გენიალობა ჩვენი ენისა? ქართული ენა, მკვლევართა აზრით, უძველეს ენათა ჯგუფს ეკუთვნის; უკ დე მორგანისათვის ეს ჯგუფია: ბასკური, ეტრუსკული, ჰეტეტიტური და ქართული. უძველეს ენაში მოცემულია პირველხილვა მოვლენათა და პირველალქმევა საგანთა. ეს ხილვა და ეს ალქმევა მითიურია: მოვლენა აქ „ამას“ კი არ მოასწავებს, არამედ „იმასაც“. საგანი აქ „ეს კი არაა მარტო, არამედ „ისიც“. მითურ ხანაში მოვლენანი და საგანნი ერთიმეორეში არიან ასახურებულნი და ამ გზით ერთიმეორით გაახრებულნი. მგალითი. ბერძნული სიტყვა „ალეთის“ ნიშნავს წარუფაღს და თანვე ტემპარაქს, ნამდვილს. ცხადია შინაგანი აზრი სიტყვისა: რაც „წარუფაღია“, იგი „ტემპარაქი“. რუსულ ენაში გვხვდება სანსკრიტული ძირი „ბუდი“; „ბუდიტა“ — გაღვიძება, „ბუდიტა“ — „იყავნ“. სანსკრიტული სიტყვა იგი ნიშნავს „ქცევას“. დააკვირდით ეხლა შინაგან გაახრებულს: „გაიღვიძე“, რათა „იქცე“. და აი, სწორედ ამ „შინაგან გაახრებულთ“ არის ქართული ენა საოცარი და საცნაური. ამ მხრით მას—ეს შეიძლება ვადაჭროთ ითქვას— ვერ შეედრება ვერც ერთი ენა. ქართულში თითქმის ყოველი სიტყვა—ელემენტი თითქო „მოახრება“ თვითონ. „მარხვა“ მაგალითად ნიშნავს „დამარხვას“. მთიგონეთ ეხლა: მზე ჩადის „იმარხება“. დაუპირდაპირეთ ამას: ქრისტე ჯვარს ეცმის ჩადის უკუნეთში, „იმარხება“. ეხლა მთავოლეთ ესეც: მზე ამოდის, იხსნის თავს ბნელეთიდან და ქრისტე აღსდგება მკვდრეთით, როგორც მხსნელი. არ ანიშნებს ამას ქართული „ხსნილ“?!

და აი ამრიგ: „მარხვა“ - ხსნილი“, ეს წყვილი აცნაურებს უნივერსალურ საიდუმლოს. შემდეგ „კვირა“. აქ ღვთიური პაუზაა მოსახელი: ექვს დღეს იშრომე, მეშვიდე დღეს შესდექ, შეჩერდი, მიიხედე უკან, გაიფიქრე: თუ ვინ მოგავლინა ამ სოფელს, „გაიკვირებ“: ხომ შეიძლება და სულ არ მოვლენილიყავ; ადიდე გამჩენი, „ილოცე“. უკანასკნელი სიტყვა— „ლოცვა“— ენათა შორის ვერსად ნახულობს სატყვისს. ფრანგული „პრიერ“, გერმანული „გეტეტ“, რუსული „მოლოცვა“—არც ერთი არ არის ლოცვა. მათში ნააზრევია ის, რასაც ჩვენ „ვედრებას“ ვუხმობთ. „ლოცვა“ რომ ვედრება იყოს, მაშინ საიდან იქნებოდა ან „შელოცვა“ ან „დალოცვა“ ან „შილოცვა“? „ლოცვა“ სწორედ ის შინაგანი ხტილია, რომლითაც ადამიანი ღვთიური პაუზის დროს გადადებმის უზენაეს ძალას. „ნამყოფი“— ეს უფენიანლესი სიტყვა ქართულშია, აქ არის გამოკვეთილი „მარადი მყოფადი“. გაიხსენეთ „ხილი“ როგორც „ნამყოფი“ — „ხილი ხომ ყოველთვისაა! „ნამყოფში“ მოცემულია პითაგორას, პლატონის, პეგელის, ნიცშე (მოცემულია გააზრებაში „ყოფისა“ როგორც ქამყოფელ ვლენილისა). შემდეგ „მზე“ — „მზერა“ და აქედან „მზე“ როგორც „თვალი“. იტყვის ხომ ქართველი მევენახე ყურძნის მწიფობისას: „თვალი ჩასულა მტევანში!“ „თვალი“ აქ „მზეა“. საიღუგლო აქ ცნაურებულა მეთი სიღრმით და პლასტიურობით, ვიდრე ეს გამოთქმული აქვს პლატონს, შემდეგ პლოტინს და ბოლოს გოეტესს. ქართული ენის შინაგანი განხილვით შეგვიძლია აღვადგინოთ მთელი მითიური სამყარო. ენები ექროპისა, „რაციოს“ ხანაში წარმოშობილნი, უფრო ლოგიურ სამყაროს აცხადებენ. აიღეთ მაგალითად ფრანგული ენა, იგი სწორუპოვარია ლოგიურ ფორმულების გადმოცემისათვის, ხოლო მითიური შინაგანის მხარით კი..... მართალია რომელიმე ფრანგული სიტყვა „ამასაც“ ნიშნავს და „მასაც“—მაგრამ აქ „ამისა“ და „იმის“ შორის იმ შინაგანის ხაზი არაა. პოლ კლოდელ, სახელოვანი პოეტი ჩვენნი დროის საფრანგეთისა, ფიქრობს: «*connaissance*» და «*naissance*» საერთო საშოდან იშვიანო. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ აქ უთუოდ გასაოცარი სიტყვიერი ხტილი უნდა ვიგულვოთ. მიკვირს: ფილოლოგები სხვა აზრისა არიან—ესეც ფრიად დამახასიათებელია. ამ დღეებში ერთს ფრანგულ რომანს ვკითხულობდი. წავაწყდი სიტყვას «*éternuer*» ფავიფიქრე «*éternité*»-საგან ხომ არ გამოიმდინარქეობს მეთქი.

ჩავიხედე სიტყვაში: თურმე „დამცხიკვებას“ ეიშნავს. ბევრი ვიცინე. ვაი თუ მსარადისობა „დამცხიკვების“ მეთი არაა მეთქი.

ამ რიგად: ქართულ ენაში მითიური სამყარო ისახება. საკვირველი არაა, თუ ქართული მითოსი საიდუმლოს ენგადის თვითონ. „ირმის ნახტომს“ ვერ შეედრება „დიდი დათვი“, „ოქროს ვერძი“ უფრო შეტყვევლია ვიდრე „ოქროს მსატყლი“, „ამიჩანის“ ერთი ვარიანტი გადაძლეგს ბერძენთა „პრომეთეს“, სვანთა „დალი“ უფრო გულხმიერია ვიდრე ბერძენთა —არტემის“ ან და რომელთა „დიანა“.

ამით ფაათავა მომხსენებელმა შესავალი სიტყვა.

„სანამ „იმამ შამილის“ წაკითხვას შევუდგებოდე, განაგრძო მან, მიხდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ ქართული პოეზიის შესახებ. აღნაგობა ქართული ფრანზისა სადაა ფრიად და მარტივი. მას არ უყვარს პერიოდის მიხვეულობილება—ვერც ითმენს და ვერც იტანს მას. ხოლო ეს სისადაე და სიმარტივე შინაგან ძალიან რითულია. ქართული ფრანზა უმთავრესად ელიბსით იმარჩება, ესე იგი: ართქმული იქ თქმულად იგულისხმება. კიდევ ერთხელ უნდა მოვიგონო ერთი მაგალითი ქართული ელოლიპისა. როცა ჩვენს მეზობელს ესაია ვერულაშვილს მიახარეს—ეს მოხდა ჩემს ბავშობისას— ძალიან არ დასძახე გუშინო, მან მიუგო: „მანში თუე? ესაია და ასა კაცი!“ აი სწორუპოვარი ელოლიპი. რა თქვა ესაიამ? მე ისეთი ბანი მაქვს, გუნდი რომ ასი კაცისაგან იყოს შემდგარი, იმასაც ვეყოფიო. ელოლიპის დიდი ოსტატი ქართული პროზაში საბა სულხან-ორბელიანია.

ქართულ ფრანზაში ყოველი სიტყვა არა მარტო სხვა სიტყვებთან ერთად უნდა ისმოდეს აზრის გასაყვანად—იგი თავისთვისაც უნდა ცოცხლობდეს, სისაესით გახშიანებული. დაახლოვებით ჩემს პროზაში ამ მეთოდით გამყავს ფრანზა, გადაწყვეტია აქ ისიც, თუ რომელი სიტყვა რომელს უდგება აზრის შინაგანის ხაზით. ხშირად ჩემს ნაწერს ვერ იგებენ, ამევე დროს, თუ მე წარმოვსთქვი იგი, მაშინ მასში არა რჩება რა გაუგებარი მსმენელისათვის. აიხსნება ეს მოვლენა იმით, რომ მე, როგორც ავტორს, კარგად მესმის, თუ როგორ გამოვთქვა ფრანზა მთლიანად: სად ავამალოო ხმა და სად დავამდაბლო, რომელი სიტყვა გაგამძაფრო და რომელი შევანელო, სად შევჩერდე დახმით, რათა ართქმული თქმულად ისმოდეს და სხვა. მკითხველი, ჩვეუ-

ლოი სხვაგვარ გამართვას ფრაზისა, ვერ ხვდება ჩემ მიერ დასმულ შესვენების ნიშნებს, თუმცა მათი ანარჩაირებით ვცდილობ ვანიშნო მას მელოდიის სიტყვათა თანმიყოლებიანა. არც გასაკვირია, რადგან შესვენების ნიშნები ნოტები არ არიან. ესლა წაგიკითხავთ ნოველლას „იმამ მამილ“. წინასწარვე ვარ დაწვრილებული, რომ თქვენ შორის არ აღმოჩნდება არც ერთი, რომელსაც წაკითხულითგან ერთი ფრაზაც კი დაურჩეს გაუგებარი. არ ვამბობ: ენის მხრით ეს ნოველლა იცვეს სრულყოფილი. საწერი მანქანა რომ მქონოდა, ხუთჯერ მანც გადავწერდი მას კიდევ და გადაწერისას აქაიკ შევასწორებდი. ვიმეორებ: ქართული ენა მარტივია ფრიად, ხოლო თანვე უაღრესად რთულიც — სწორედ სიმარტივის გამო სრულიად განსაკუთრებულია. ხშირად მსმენია: გრიგოლ რობაქიძე ქართული სიტყვის დიდი ოსტატიაო. გულახდით გეუბნებათ ეს „დიდი ოსტატი“: 25 წუთი მანც სჭირდება მას, სულ უკანასკნელი, უბრალო „ღია ბარათი“ რომ დასწეროს. ასე ძნელია ქართული. და მანც: ეს ნოველლა, ამ სახითაც, დაგანახვებთ, თუ რა შეუძლია ქართულ ენას“.

მომხსენებელი შეუდგა კითხვას „იმამ მამილისა“. დიდი მსახიობი და პოეტი უნდა იყო, რომ შესწლო აღწერა იმისა, თუ რა ოსტატობით წაიკითხა ავტორმა თვისი ნაწარმოები. საზოგადოება სმენად გადაქცეული, უძლიერესი ალტაცებით იწვიათ განცდას ეძლეოდა.

დაუსრულებელი ტაშის ცემა და უსახლგრო აღფრთოვანება შესწყვეტა ბ. ევხ. ღამბაშიძის უცაბედად ცუდათ განდომამ, რომელსაც წვეთი დაეცა მარცხენა მხარეს.

პაუზის შემდეგ დაიწყო საღამოს მეორე ნაწილი.

მომხსენებელი გაკვრით შეეხო ქართული მხარის ბუნებას. წაიკითხა სამი შაირი ვაჟასი: „ჩივილი ხმლისა“, „დიდი თამარი“, „ფშაველ ჯარის კაცის წერილი“. წარმოათქვა ოთხი საკუთარი შაირი: „გურა“, „წმ. ნინო“, „დედის წერილი ომში გაყვანილ შეილის მიმართ“, და „ქართული მიწა“.

საღამო 12 საათზე დამთავრდა. საზოგადოება დიდხანს კიდევ არ იშლებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა სამუდამოდ წარუშლილი შთაბეჭდილება დასტოვა.

სამი კვირა დაჰყო მან პარიზში. რამოდენიმეჯერ იყო მოწყობილი ჩვენთან ლიტერატურული საღამო.

პარიზის ქართველობამ დიდი პატივი სცა საყვარელ სტუმარს, გული გაუთბო მას, „გახარა“ და თვითონაც „გახარა“.\*)

„ისეთი გადახალისებელი დაბრუნდა პარიზიდან, თითქო საქართველოდან ჩამოსულიყოსო“ მომწერა მისმა მეუღლემ ქნეცივიდან.

ნინო სალია.

\*) ბ. ევგ. ვეგეჭკორმა უძღვნა გრიგოლ რობაქიძეს აკაკი წერეთლის წერილები და წიგნი „განსჯანი არისტოტელისანი“, —თარგმნილი მეფის გიორგის მცამეტის ძის თეიმურაზის მიერ, 1818 წ., ეკუმბლარში მიძღვნილია თეიმურაზის მიერ სახსოვრად ექონი მისი ფრანგი მეგობრის მიმართ.

რედ.

დაგვიანებული სიტყვა

როდესაც ქართული სიტყვის საღამოზე მომხსენებელმა სხვათაშორის მეც მიძღვნა მერძნობიარე სიტყვები, მე ფიქრად მომივიდა, რომ საღამოს დასრულებისას სამაგიერო მდლობა შემეწერა მისთვის, მით უფრო რომ ამავდროს საზოგადოების მხრივაც გამომსახველი ვიქნებოდი მათი კმაყოფილებისა; მაგრამ უცაბედმა უბედურებამ ამისი საშუალება არ მომცა და განზრახული მდლობის სიტყვაც ენის წვერზედ მომდგარჩ, უკანვე გამომყვა შინ სხვების დახმარებით წამოსულს და წამოყვანილს. დაახლოებებით მინდოდა შემდეგი მეთქვა:

„ბატონებო, ნება მიბოძეთ იმ გრძნობიერი სიტყვებისათვის, რომლითაც მე მომხსენებელმა მომიხსენია, უაღრესი მადლობა შევსწირო მას და თანაც დაფრთო სხვებთან ერთად პირადათ განცდილი ძლიერი კმაყოფილების გრძნობა, რომელიც ამ ქართული სიტყვის წვიმმა გვაგება. ეს იწვიათი თვისება თავიდანვე სჩვევოდა ჩვენს სასიქადულო მხატვარს. მე მახსოვს ის დრო, როდესაც ჩვენ საზოგადოებას თბილისში პირველად შოეგლინა ბ-ნი გრაგოლი და შეუდგა საჯაროდ ლექციების კითხვას. მან მაწინვე მიიზიდა მრავალი მსმენელი თავისი შინაარსიან-

ნი და მჭერმეტყველი ლექსები. მეტად საგულ-  
ლისხმო ის იყო, რომ ჩვენი იმ დროის განათლებ-  
ული საზოგადოება სრულებით გადაჩვეული  
იყო ქართულად ლაპარაკსა და ქართულად აზ-  
როვნებას. სამწუხაროდ არსად ისე აბუჩად არ  
იყო ავადებული სამშობლო ენა, როგორც ჩვენ-  
ში. სასწავლებლიდანვე გადაგვარების გზაზედ  
დამდგარ ახალგაზრდობას, უცხო არა-მშობლი-  
ურ ქვეყანაში უზღებოდა სწავლის დამთავრება,  
სადაც სულ ავიწყდებოდათ მშობლიური ენა.  
ამის და მიუხედავად როდესაც მათ სმენას მო-  
ხედებოდა ხოლმე სასიამოვნოდ და მჭერმეტყ-  
ველობით აგებულნი სიტყვა ჩვენი ორატორისა,  
ალტაცებაში მოდიოდნენ, თითქოს ამართლებ-  
დნენ შოთას დებულებას, როდესაც იგი ამბობს:  
„გველა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მო-  
უბარი“-ო. ეს ხდებოდა ორმოციოდე წლის წი-  
ნად, როდესაც ახლად იყო საზოგადო ახპარეს-  
ზე გამოსული ბ-ნი ვრიგოლი. ამის შემდეგ ქა-  
რთული ენის მუდმივი მოტრფიალე ჩვენი თანა-  
მემამულე ბეჭად უფრო დაწინაურდა და ამის  
შედეგი ვინაიღეთ როგორც მის პირველ ჩამოს-  
ვლისას პარიზში ამას წინად, ისე ეხლა დღევან-  
დელ დღესაც. როდესაც ჩვენი ემიგრანტების  
უფერულობაში, სადაც უფრო ხშირად ხედავთ  
მჭმუნვარე სახეებს მოსევედიანო გამომეტყვე-

ლებისას და ვინც ერთ საღამოს შესძლებს თი-  
თქოს ჯადოსნურის ძალით ამის ალტაცების ზე-  
იმაღ გარდაქმნას და საერთო სიხარულის გამო-  
მეტყველებად შეცვლას — მაშინ ძალაუფლებუ-  
რად უნდა აღვიაროთ, რომ ამის მიხეხი დიდი  
ხელოვანი უნდა იყოს ქართული სიტყვისა და  
მართლაც „ხელ - მარჯვედ ჩოგნის მკემელი“.  
საუკუნის ტყვეობის შემდეგ ქართულ ენას  
რომ თავისუფლება მხოლოდ ხანმოკლედ არ მო-  
ვლენოდა, არამედ თავისუფალ სიტყვასთან ერ-  
თად აზრის თავისუფლებაც სამუდამოდ შეჩრ-  
ნოდა, ეხლა აგებული გვექნებოდა ქართული  
ენის მჭერმეტყველების ტაძარი და ამ ტაძრისა-  
თვის უკეთესსა და უფრო შესაფერისს ქურუმს  
ვერ ვვირჩევდით თუ არა ჩვენს ძვირფასს მომ-  
ხსენებელს... ვუსურვოთ მას მრავალჟამიერი  
წარმატება და ბედნიერება არჩეულ სარბიელზე  
ჩვენი სამშობლოს სასახელოდ და სასიქადუ-  
ლოდ. ქართული ენის გენია მართლაც ვისმინეთ  
ამ სახსოვარ სახეიმიო საღამოს, როდესაც პოეტ-  
მა გვამცნო, რომ „ქართული ენა არის უმშვენი-  
ერესი ენათა შორის“ — ჩვენ ყველამ ეს კარგად  
ვიგრძენით. ვაჟა ჩვენს პოეტს! ამ მშვენიერე-  
ბის საიდუმლოების მიმგნებდა და უერთგულესს  
მსახურს...

ექ. ვახ. ლამაშიძე

სამარცხვინო წერილი

რუსეთის სოციალ - დემ. პარტიის ორგანოში,  
“Социалистический Вестник” № 3 (630)  
მოთავსებულია გრ. ურატაძის წერილი: “К во-  
просу об объединении национальностей”.  
სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ შემდეგს:  
„ცნობილია, რომ კომუნისტური გადატრიალება  
ბამდის სეპარატული მიდრეკილებანი რუსეთში  
შედარებით სუსტი იყო. ყველა ეროვნებანი შე-  
საძლოთ სთვლიდნენ დაეკმაყოფილებიათ თავი-  
ანთი ეროვნული ინტერესები თვით იმპერიის  
ფარგლებში, თუ მისი წესწყობილება სავსებით  
დემოკრატიული იქნებოდა. ამიტომ არც ერთი  
ეროვნება არ აყენებდა საპროგრამო მოთხოვნი-  
ლებათ თავის გამოყოფას რუსეთისაგან\*), რაც  
ბრწყინვალედ დადასტურდა 17 წლის თებერვ-  
ლის რევოლუციის დროს, როდესაც არც ერთს  
მთავანს არ მოუხურვებია რევოლუციონური  
მდგომარეობის გამოყენება თავისი სეპარატის-  
ტული განზრახვების გამოსამყდენებლად. პირ-

იქით, — ყველანი აღფრთოვანებით ჩაეხდნენ  
სრულიად რუსეთის აღმშენებლობაში, მიაჩნდათ  
რა იგი საკუთარ ეროვნულ აღმშენებლობათ.  
მაგრამ მოხდა ოქტომბრის გადატრიალება,  
რომელსაც მოყვა შედეგად დიდი სახელმწიფოს  
დაშლა და მთელ რიგ დამოუკიდებელ ეროვნ-  
ულ რესპუბლიკათა აღმოცენება.  
განა შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო?  
რასაკვირველია არა. ძველ პოზიციებზე დასრე-  
ნა ზომ უზურპატორთა ცნობას და მათ სისხლი-  
ან საქმეებში მონაწილეობის მიღებას ნიშნავდა...  
შომავალი მიუდგომელი ისტორიკოსი, აღად-  
გენს რა ობიექტიურად მაშინდელ პირობებს,

\*) რასაკვირველია, ეს არ ეხება ისეთ ერებს,  
როგორც არიან ფინლანდლები და პოლონე-  
ლები, რომელთა სახელმწიფოებრივ უფლებებს  
არც ერთი დემოკრატი არ უარყოფდა. (შენიშნა  
„სოც. ვესტნიკის“ რედაქციისა, ხაზი ჩვენია).

აუცილებლად მიუზღავს თავისას ყველა ეროვნებათა მისწრაფებას, უწინარეს ყოვლისა სრულიადრუსეთის გადასარჩენად. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს შეუძლებელი იქნება, მათ დაიწყეს „საკუთარის“ გადარჩენა, შიანდათ რა ეს დროებითად და გარდამავლად“...

ხედმეტად მიგვაჩნია ამ წერილის განხილვა.

ბ. ურატაძე დიდი ხანია ცდილობს დაამახინჯოს და დაამცროს ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია, მაგრამ არ გვეგონა თუ ამ უმსგავსო საქციელს უცხო პრესაშიც გადაიტანდა.

ბ. მიხ. ჩუბინიძემ უკვე აღძრა ეს საკითხი პა-

რიზის ქართველთა სათვისტომოში, რომელიც უთუოდ საჭირო სიტყვას იტყვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ასეთ გამოსვლებს.

მაგრამ, ნუ თუ ბ-ნ ურატაძეს არ დაუბადა ეროვნული თავმოყვარეობის გრძნობა იმ შეურაცყოფამ, რომელიც მიაყენა რუსულმა ურანალმა თავის „მნიშვნაში, ქართველი ერის სამი ათასი წლის ბრძოლით აღბეჭდილ უფლებას პოლიტიკური თვით - არსებობისა?

„ბედი ქართლისა“

### ქართული ბალები

2 და 7 მაისს, პარიზში, პლენელის დიდ დარბაზში, ბ. ილია ჯაბადაშვილის თაოსნობით, ქართულმა ბალებმა გამართა ორი საღამო. ვრცელი ცნობები ამ ბალების შესახებ მოცემული იქნება ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში. აქ კი საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ბალების ორგანიზატორი ი. ჯაბადაშვილი და დამდგმელნი: ს. იანთელი (ს. კობრეძე) და ალ. გურჯი (ალ. დარეჯანიძე) უსათუოდ ღირსნი არიან ქებისა და გამხნეებისა. ეტყობა — მათ ამოძრავებს ქართული ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული, რომ შესძლეს მრავალი დაბრკოლებების გადალახვა და პირველად ჩვენი ცეკვები ევროპაში გამოიტანეს.

ცეკვებში მონაწილეობენ: ქ.ქ. ი. პაპუაშვილი, ა. ვარდი, დ. კელია, თ. ვაჩნაძე, ვ. ხაბულოანი, ია სამანი, ჯენარა; ბ.ბ. თ. თაქთაქიშვილი, ს. შამულაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ბოკუჩავა, რ. წერეთელი, ნ. გელაშვილი და რამოდენიმე უცხოელი.

„ბედი ქართლისა“ ესალმება ამ მნიშვნელოვან ქართულ კულტურულ დაწყების ხელმძღვანელთა და უსურვებს მათ წარმატებას ჩვენი შიდადარი და მრავალფეროვანი ხელოვნების უცხოელებისათვის გაცნობის საქმეში.

გ. ს.

## ქრონიკა

### პ ა რ ი ზ ი

#### სათვისტომოს გამგეობის არჩევნები

ამა წლის 16 აპრილს, პარიზში შესდგა ჩვენი სათვისტომოს წლიური საზოგადო კრება.

არჩეულ იქმნა ისევე ძველი გამგეობა სამი ახალი წევრის დამატებით.

#### მოხსენებები ქართულ სათვისტომოში

30 აპრილს, სოსიეტე-საენატის დარბაზში ალ. მანველიშვილმა წაიკითხა მოხსენება რუსეთ - საქართველოს დამოკიდებულების შესახებ.

იმავე დარბაზში, 7 მაისს, დ. ყურულაშვილმა გამართა ლიტერატურული მოხსენება შემდეგი

შინაარსისა: 1. „სიტყვა“. 2. „ქართული კამარა“ — ლირიული პოემა. 3. „ნაწყვეტები“ მისი მოთხრობიდან და 4. „მაირები“.

#### სამი ახალი ქართული ოჯახი

ა/წ. 4 თებერვალს, 14 და 22 აპრილს პარიზში ჯვარი იდაწერეს: ბ.ბ. გაიოზ ბერეკაშვილმა და ნინო მგალობლიშვილის ასულმა; ლევან ზურაბიშვილმა და ზეინაბ კელიას ასულმა; ირაკლი კალატოზიშვილმა და რუსუდან სარჯველაძის ასულმა

„ბედი ქართლისა“ უსურვებს მათ დღეგრძელ და ნათელ სიცოცხლეს.

S O M M A I R E :

1. Appel du Prof. M. Tsérethéli, Président de la Société d'Etudes de la Civilisation Géorgienne.
2. K. Salia — Centième anniversaire de la mort de la dernière Reine de Géorgie Mariam.
3. G. Kipiani — Poésie dédiée à la Reine Mariam.
4. Prof. M. Tséréthéli, «Histoire et éloges des Souverains».
5. Grigol Robakidse — Imam Chamil (Nouvelle).
6. Anthologie Géorgienne (extrait) — P. Iachvill, S. Tsirekidzé
7. P. S. Vardidzé — G. Kipiani — G. Loloua — Poésies.
8. R. P. M. Tarknichvili — Lettres inédites du Roi Théimouraz I<sup>er</sup> et du Patriarche Zacharie au Pape Urbain VIII.
9. VI. Emoukhvari — Inscriptions cunéiformes découvertes à Van (Arménie).
10. Dr. G. Kobakhidzé — Inscription géorgienne sur la mosaïque du Monastère de la Sainte-Croix à Jérusalem et le Roi Irakli I<sup>er</sup>.
11. N. Salia — Conférence de Grigol Robakidse à Paris.
12. Dr. W. Hambachidzé — Discours manqué.
13. Ballet Géorgien.
14. Chronique.

ეთერი ფაღავა გერმანიაში

სიმღინარე წლის თებერვალში მონტე-კარლოს ბალეტის მიბატელებულ იქმნა გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში.

როგორც ვიცით, ამ ბალეტში პირველ როლუებში გამოდის მსოფლიოში სახელგანთქმული, ჩვენი ასალგაზრდა ეთერი ფაღავა. გერმანული ჟურნალები იტყობინებინან, რომ მან ბრწყინვალეთ ჩაატარა ბალეტის სეზონი.

ქ. ლიონი

ლიონში დასრულდა ქართველთა სათვისტომო გამგეობაში წედიან: ა. ხიმშიაშვილი (თავმჯდომარე), კ. გუნია (მდივანი) და ვ. ბურტელა (ხაზინადარი).

კნობები ბელგიიდან

გამოვიდა მეორე ნომერი «Pro Europa» სადაც მოთავსებულია ვრცელი წერილი მ. ტულუშისა საქართველოს შესახებ, განხილული ისტორიული-პოლიტიკურ ვითარებათა მიხედვით. წერილში მოყვანილია სურათები ზოგიერთ ჩვენ მეფეთა და ეკლესიათა.

მონტე-კარლოში გარდაიცვალა ვარო ყიფიანი, შვილის - შვილი დიმიტრი ყიფიანისა. განსვენებული იყო ფრიად განათლებული ქალი და ღრმა მოყვარული ყოველივე ქართულისა.

ბელგრაში მცხოვრები ქართველობა მწუხარებით აღნიშნავს ირაკლი ერისთავის გარდაცვალებას.

ბრუსელშივე გარდაიცვალა ღრმა მოხუცი ნატალია ერისთავი - სპორესი.

გ. გელაზანიას გარდაცვალება

გერმანიაში გარდაიცვალა პოეტი გელა გელაზანია, რასაც მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას.

კრებულის ფონდი

შემოსწირეს: ბ.ბ. მერაბ კვიციანიშვილმა — 50 დოლ., კირილე თუმანიშვილმა — 10 დოლ., გიორგი კერესელიძემ — 2.000 ფრანკი, ბელგიელმა — 2.000 ფრ., სიმონ კვიციანიშვილმა — 2000 ფრ., მელიტონ ჟღენტმა — 2.000 ფრ., მამკუდ ტარპანმა — 1.000 ფრ., ვ. რ. 1.000 ფრ., ხუთას-ხუთასი ფრანკი: მ. ჩუბინიძემ, ე. კვანტმა, დ. უხტრგუნაშვილმა, შ. გიორგაძემ; თითო-თითოდ დოლარს: პ. კვარაცხელიამ, მ. შანიძემ და ზალდასტანიშვილმა, კემბრიჯიდან — 2.000 ფრ.

სულ 36.100 ფრ.

დიდად გმადლობთ!  
ნუ მიმატოვებთ!

„ბედი ქართლისა“

რედაქციისაგან

ჩვენი ჟურნალის შემდეგი ნომრის გამოცემა დაგვიანდა ქართული სტამბის უფროსის, ბ. დ. ხელაძის მძიმე ავადმყოფობის გამო.

ბ. გ. კერესელიძის წერილის „იესო ქრისტეს მოძღვრება და ქართველი ერის“ -ს გაგრძელება დაიბეჭდება მოკრიგ ნომერში.